MES 4 21 0000694719

09/07/2021

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

სხდომის თარიღი 26/06/2021 წ
სხდომის დაწყების დრო 11:00 სთ
სხდომის დამთავრების დრო 17:00 სთ
საბჭოს თავმჯდომარე - ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი
საბჭოს მდივანი - მარიამ შენგელია
სხდომის მდივანი - ეკატერინე ნაცვლიშვილი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი -** სსიპ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი - **საბჭოს თავმჯდომარე;**
2. **ნინო იმნაძე -** სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის დეკანი, ამავე ფაკულტეტის შენობა-ნაგებობის არქიტექტურის მიმართულების სრული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **მარიამ შენგელია -** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი - **საბჭოს მდივანი;**
4. **გაიანე სიმონია -** სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო განათლების, კვლევისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, გერიატრიის დეპარტამენტის პროფესორი;
5. **ანზორ ბერიძე -** სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი;
6. **გაიოზ ფარცხალაძე -** სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
7. **ელიზბარ ელიზბარაშვილი -** ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის საერთო-საუნივერსიტეტო ლაბორატორიული ცენტრის დირექტორი, პროფესორი;

8. **ნიკა თიკანაშვილი** - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის საერთაშრისო ურთიერთობების ხელმძღანელი, შპს "საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის" საინჟინრო ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი;
9. **გიორგი ღაღანიძე** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
10. **დავით კაპანაძე** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრის უფროსი, პროფესორი;
11. **დიანა მჭედლიშვილი** - შპს "კავკასიის უნივერსიტეტის" ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი;
12. **ეკატერინე ნაცვლიშვილი** - შპს "ევროპის უნივერსიტეტის" ასოცირებული პროფესორი;
13. **თამარ ჩხეიძე** - სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ასოცირებული პროფესორი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
14. **თეონა მატარაძე** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი;
15. **ნინო ინასარიძე** - "CNFA საქართველოს" გარემოს დაცვის მენეჯერი;

სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის თანამშრომლები

№	სახელი, გვარი	სტატუსი
1	ლალი ოდიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
2	სოფიკო ქურასბედიანი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
3	ანი ბილანიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
4	თამარ აფრასიძე	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

№	სახელი, გვარი	საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	სტატუსი	საკითხი
1	დავით კერესელიძე		პროგრამის ხელმძღვანელი	I, II, III, IV
2	ლია მაჭავარიანი		პროგრამის ხელმძღვანელი	I, II, III, IV
3	ზურაბ სეფერთელაძე		პროგრამის ხელმძღვანელი	I, II, III, IV
4	დალი ნიკოლაიშვილი		პროგრამის ხელმძღვანელი	I, II, III, IV
5	ვაჟა ტრაპაიძე		ასოც. პროფესორი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილე	I, II, III, IV
6	თამარ ჭელიძე			I, II, III, IV

		სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის	ასოც. პროფესორი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	
7	გიორგი ბრეგვაძე		ასოც, პროფესორი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი	I, II, III, IV
8	ნინო ქიმერიძე		ასოც. პროფესორი. თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის განყოფილების უფროსი	I, II, III, IV
9	დავით მახვილაძე	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	V, VI
10	ანზორ აბშილავა		სამთო - გეოლოგიური ფაკულტეტის დეკანი	V, VI
11	შალვა კელეპტრიშვილი		სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	V, VI
12	ირაკლი გუჯაბიძე		სამთო ტექნოლოგიების დეპარტამენტის უფროსი, ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის "სამთო და გეოინჟინერია" ხელმძღვანელი	V, VI
13	თეიმურაზ ბარაბაძე		ავთობისა და გაზის ტექნოლოგიების დეპარტამენტის უფროსი	V, VI
14	ნოდარ ფოფორაძე		გამოყენებითი გეოლოგიის დეპარტამენტის უფროსი	V, VI
15	გელა მაჩაიძე		დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „სამთო ტექნოლოგიები" ხელმძღვანელი	V, VI
16	დავით კუპატაძე		პროფესორი	V, VI
17	რომეო გალდავა	სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	VIII
18	მარინა ზარქუა		საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა, მათემატიკის, ტექნოლოგიებისა და ფარმაციის ფაკულტეტი	VIII
19	ნესტან კეკელია		ასოც. პროფესორი	VIII

20	ლალი ტაბატაძე		ასოც. პროფესორი	VIII
21	ზურაბ ფაჩულია		პროფესორი	VIII
22	თეა კორძაძე	სსიპ - აკაკი წერეთლის საელმწიფო უნივერსიტეტი	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	VII
23	ციცინო თურქაძე		საინჟინრო ტექნოლოგიური ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	VII
24	ინგა ბოჭოიძე		საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	VII

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტები

№	სახელი, გვარი	ინფორმაცია ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით მონაწილეობის შესახებ	საკითხი
1	ნოდარ ფოფორაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I, II, III, IV
2	მიხეილ ელაშვილი		I, II, III, IV
3	მარიკა ტატიშვილი		I, II, III, IV
4	ნინო ჯოჯუა		I, II, III, IV
5	ნინო დეკანოიძე		I, II, III, IV, VIII
6	ნინო დონდოლაძე		V, VI
7	ზურაბ მეგრელიშვილი		V, VI
8	კახა ქოიავა		V, VI
9	სოფიო უგრეხელიძე		V, VI
10	თათია უბერი		V, VI
11	ლაშა მსხილაძე		VII
12	მალხაზ ბერეჟიანი		VII
13	ნათია კვიჟინაძე		VII
14	ნინო ქიმერიძე		VII
15	ნინო ბარათაშვილი		VII
16	ელენე ხურციძე		VII
17	ელინა ბაქრაძე		VIII
18	ნათია ოჩხიკიძე		VIII
19	მიხეილ ბიჭაია		VIII

საბჭოს სხდომა დაიწყო: 11:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 27^2 მუხლის მე-5 შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების 27[5] მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმადაც, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

სხდომის დღის წესრიგის პროექტი

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „გეოგრაფიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფიზიკური გეოგრაფია და გარემოს მდგრადი განვითარების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „გეომორფოლოგია, კარტოგრაფია და ლანდშაფტური დაგეგმარების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „გეოგრაფიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „სამთო და გეოინჟინერია“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
6. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „სამთო ტექნოლოგიების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
7. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ქიმიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
8. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფარმაცევტული და კოსმეტიკური ტექნოლოგიების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით
√ კი

შუამდგომლობის ინიციატორის სახელი, გვარი, სტატუსი: ლალი ოდიშვილი, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი.
ცვლილების არგუმენტაცია: სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერისტეტის „ქიმიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე ვერ ახერხებდა საკითხისათვის განსაზღვრულ საათზე სხდომაზე დასწრებას, რის გამოც ითხოვა აღნიშნული პროგრამის აკრედიტაციის საკითხი განხილვა გადაედოთ ერთი საათით.

აღნიშნული შუამდგომლობა დააკმაყოფილეს საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წევრებმა და დაამტკიცეს შეცვლილი დღის წესრიგი.

დამტკიცებული სხდომის დღის წესრიგი

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „გეოგრაფიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფიზიკური გეოგრაფია და გარემოს მდგრადი განვითარების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „გეომორფოლოგია, კარტოგრაფია და ლანდშაფტური დაგეგმარების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „გეოგრაფიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „სამთო და გენოინჟინერიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
6. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „სამთო ტექნოლოგიების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
7. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფარმაცევტული და კოსმეტიკური ტექნოლოგიების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
8. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ქიმიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ დააყენა შუამდგომლობა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "გეოგრაფიის" საბაკალავრო, "ფიზიკური გეოგრაფიისა და გარემოს მდგრადი განვითარების" სამაგისტრო და "გეოგრაფიის" სადოქტორო და "გეომორფოლოგიის, კარტოგრაფიისა და ლანდშაფტური დაგეგმარების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საკითხი განეხილათ ერთად სათათბირო შესვენების გარეშე, რადგან ითხოვე საგანმანათლებლო პროგრამა შემოწმებულია ერთი ექსპერტთა ჯგუფის მიერ. საბჭოს წევრები, საგანმანათლებლო დაწესებულებისა და ექსპერტთა ჯგუფის წევრები დათანხმდნენ აღნიშნულ ინიცირებას.

პირველი საკითხი: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფიის საბაკალავრო საგანმანთლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა:

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	გეოგრაფია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	28/10/2011 N213
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	გეოგრაფია
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-

8	კვალიფიკაციის დონე	მეექვსე
9	კვალიფიკაციის დასახელება	მეცნიერების ბაკალავრი გეოგრაფიაში
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები, 0532
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	ი. ჭავჭავაძის გამზირი 3, თბილისი, უნივერსიტეტის II კორპუსი, 0179, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	

მეორე საკითხი: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფიზიკური გეოგრაფია და გარემოს მდგრადი განვითარების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ფიზიკური გეოგრაფია და გარემოს მდგრადი განვითარება
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	07/11/2012 N192
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ფიზიკური გეოგრაფია და გარემოს მდგრადი განვითარება
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეშვიდე
9	კვალიფიკაციის დასახელება	გეოგრაფიის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები, 0532
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	ი. ჭავჭავაძის გამზირი 3, თბილისი, უნივერსიტეტის II კორპუსი, 0179, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

მესამე საკითხი: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „გეომორფოლოგია, კარტოგრაფია და ლანდშაფტური დაგეგმარების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	„გეომორფოლოგია, კარტოგრაფია და ლანდშაფტური დაგეგმარება
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	07/11/2012 N191
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	„გეომორფოლოგია, კარტოგრაფია და ლანდშაფტური დაგეგმარება
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეშვიდე
9	კვალიფიკაციის დასახელება	გეოგრაფიის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები, 0532
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	ი. ჭავჭავაძის გამზირი 3, თბილისი, უნივერსიტეტის II კორპუსი, 0179, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	

მეოთხე საკითხი: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „გეოგრაფიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	გეოგრაფია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	07/11/2012 N200
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	გეოგრაფია
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა

7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მერვე
9	კვალიფიკაციის დასახელება	გეოგრაფიის დოქტორი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები, 0532
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	60
14	განხორციელების ადგილი	ი. ჭავჭავაძის გამზირი 3, თბილისი, უნივერსიტეტის II კორპუსი, 0179, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ აკრედიტაციის საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

აკრედიტაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ არა

საკითხების განხილვისას, საბჭოს მდივანი მარიამ შენგელია ვერ ასრულებდა მისთვის დაკისრებულ მოვალეობას, რის გამოც აკრედიტაციის დებულების 27[2] მუხლის მე - 4 პუნქტის მიხედვით, საბჭოს სხდომის მდივნად განისაზღვრა ეკატერინე ნაცვლიშვილი

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვით შეფასებებს, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებსა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტებზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს. წარმომადგენელებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს წარმოადგინა გეოგრაფიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციები.

ექსპერტების პოზიცია:

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ნოდარ ფოფორაძემ, მადლობა გადაუხადა საბჭოს წევრებს, და მოახსენა, რომ აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამა ხუთივე სტანდარტის მიმართებით სრულად შეესაბამება უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების

აკრედიტაციის სტანდარტებს და ჯგუფის მიერ გაცემული რჩევები ემსახურება მხოლოდ საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებას. ასევე განაცხადა, რომ გაცემულია მხოლოდ ერთი რეკომენდაცია, რომელიც ეხება „გისის“ და „ნიადაგმცოდნეობის“ სილაბუსებში თემატიკისა და სწავლის შედეგების დაზუსტებას. სწავლის შედეგების რუკის მიხედვით აღნიშნული სილაბუსებით საგანმანათლებლო პროგრამა უნდა გავიდეს პასუხისმგებლობა და ავტონომიურობის შედეგზე, თუმცა მათში არ ჩანს, თუ როგორ ახდენს ამ შედეგზე გასვლას. გასაუბრების შედეგად დადგინდა , რომ აღნიშნული კურსის ფარგლებში 2 დღის სტუდენტები გადიან ველზე, მაგრამ ეს არ არის ასახული სილაბუსში. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ასევე აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის აზრით 2 გასვლითი შეხვედრა ვერ უზრუნველყოფს ავტონომიურობისა და პასუხისმგებლობის შედეგზე გასვლას.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ნოდარ ფოფორაძემ, ასევე აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო დაწესებულება აღჭურვილია სათანადო ინფრასტუქტურით და აკადემიური პერსონალით, რაც უზრუნველყოს პროგრამით გათვალისწინებული მიზნებისა და შედეგების მიღწევას და დასძინა რომ პროგრამას გააჩნია განვითარებაზე ორიენტირებული საუნივერსიტეტო ბიუჯეტი.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ დასძინა, რომ განსაკუთრებით აღსანიშნავია თანამედროვე მოთხოვნებით, და სრულების სტადიაში მყოფი სააუდიტორიო და ლაბორატორიული სივრცის რემონტი. მიუხედავად იმისა, ტომ შეიმჩნევა ლაბორატორიული ბაზის ყოველწლიური შევსება, თუმცა მატერიალურ-ტექნიკური რესურსები ჯერ კიდევ გასაუმჯობესებელია. ასევე აღნიშნა, რომ აღსანიშნავია აკადემიური და მოწვეული პერსონალის ჩართულობა პროგრამის განვითარებაში და მათი „გაახალგაზრდავება“ და მათგან უმეტესობა გეოგრაფიის პროგრამის კურსდამთავრებულები იყვნენ.
ასევე აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის ძლიერ მხარედ შეიძლება ჩაითვალოს ასევე სასწავლო საგანმანათლებლო პროგრამებით განსაზღვრული სასწავლო საველე-გეოგრაფიული პრაქტიკების დაფინანსება და ტრანსპორტით უზრუნველყოფა, შიდა საუნივერსიტეტო სამეცნიერო პროექტები და აკადემიური და მოწვეული პერსონალის მაღალი პროფესიული დონე და დიდი გამოცდილება.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენლებს
საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა, ლია მაჭავარიანმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული სამუშაოსათვის და განაცხადა, რომ რეკომენდაცია ეხება „ნიადაგმცოდნეობის“ სილაბუსის სწავლის შედეგებში ავტონომიურობა და პასუხისმგებლობის ნაწილში დაფიქსირებულია, რომ კურსის დასრულების შემდეგ სტუდენტს შეუძლია: ველზე მუშაობის წესების დამოუკიდებლად გამოყენება, უსაფრთხოების ზომების ჩათვლით; საველე და ლაბორატორიული შედეგების დამოუკიდებლად მოხსენება. საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ სილაბუსში მოცემულია თეორიული და ლაბორატორიული კომპონენტი, რომელიც ხორციელდება უნივერსიტეტის ასევე წელიწადში 2-ჯერ ხდება სტუდენტთა გაყვანა ველზე თბილისის ფარგლებში, კერძოდ, თსუ-ს პირველი სასწავლო კორპუსის ეზოდან უკან ზოოპარკის მიმდებარე ჩასასვლელ ფერდობზე, სადაც ნიადაგის ვერტიკალური პროფილი ჩანს კარგად და მეორე გასვლა არის მთაწმინდის ან ბაგების გზისპირა გაშიშვლებაზე სადაც ჰორიზონტალური პროფილი იკვეთება. სტუდენტები იყოფიან 15 კაციან ჯგუფებად და ველზე გაყვანა ხდება, როდესაც იწყებს მორფოლოგიის შესწავლას. დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ ამ გასვლების დროს ხდება პროფილის აღწერისათვის საჭირო ელემენტარული უნარ-ჩვევების გამომუშავება.

დაწესებულების წარმომადგენელმა, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა, დააზუსტა ინფორმაცია და განმარტა, რომ პირველი გასვლითი სამუშაოს დროს ხდება ვერტიკალური

პროფილის ნიადაგის შესწავლა და მისი აღწერა, ხდება გენეტიკური ჰორიზონტების გამოყოფა, მათი პირობითი ინდექსაცია, სიმძლავრის გაზომვის ჩვენება და სწავლება და რაც ძალიან მნიშვნელოვანია ფერის დადგენა მანსელის სკალის მიხედვით.

საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა, ლია მაჭავარიანმა ასევე დააზუსტა, ის საკითხები, თუ რას შეისწავლიან სტუდენტები მე-2 გასვლით პრაქტიკულ სამუშაოზე. კერძოდ სტუდენტი შეისწავლის მექანიკური შედგენილობის განსაზღვრას საველე პირობებში, სიმკვრივის დადგენა მექანიკური შედგენილობის, ნიმუშის აღების ტექნოლოგიების ჩვენება და სწავლება, და ნიმუშების შესწავლა. აღნიშნული საკითხები სტუდენტს ველზე მორფოლოგიური საქმიანობის აღწერის უნარს გამოუმუშავებს. შესაბამისად სტუდენტს შეუძლია ველზე მუშაობის წესების დამოუკიდებლად გამომუშავებას. ზუსტად ეს დაზუსტება არ იყო აღნიშნული სილაბუსში და ექსპერტები ამის დაზუსტებას ითხოვდნენ.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა, ასევე აღნიშნა, რომ ეთანხმება ექსპერტთა ჯგუფს და მოახდენენ აღნიშნული საკითხების დაზუსტებას „ნიადაგმცოდნეობის“ სილაბუსში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დაეფიქსირებინათ მათი მოსაზრებები ან ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ, ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანმა მიმართა საგანმანათლებლო დაწესებულებას და აღნიშნა, რომ მას შეკითხვები არ ჰქონდა საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტის ნაწილში, რადგან იგი დეტალურია. მან განმარტა, რომ მისი კითხვა ეხება შრომის ბაზრის ანალიზს. საბჭომ უკვე განიხილა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რამდენიმე პროგრამა და ყველა პროგრამის დოკუმენტაციაში წარმოდგენილი იყო ერთი და იგივე ბაზრის კვლევის დოკუმენტი. ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანმა ითხოვა უშუალოთ ამ პროგრამის მიმართების დაეზუსტებინათ ინფორმაცია ბაზრის კვლევის შესახებ, ჩაატარეს თუ არა ცალკე შრომის ბაზრის გამოკვლევა და აქვთ თუ არა წარმოდგენილი სააკრედიტაციო განაცხადთან ერთად.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ უნივერსიტეტმა ჩაატარა ერთიანი კვლევა, თუმცა სააკრედიტაციო დოკუმენტაციის მე-13 დანართში მოცემულია მცირე მასშტაბიანი კვლევა, სადაც მოცემულია სამი დამსაქმებლის გამოკითხვა.

საბჭოს წევრმა, დიანა მჭედლიშვილმა, მიმართა დაწესებულებას კალკულუსის სილაბუსთან დაკავშირებით. და აღნიშნა, რომ მასში მოცემული საკითხები მრავალფეროვანი და მოცულობითია, რის გამოც დაინტერესდა, თუ რამდენად ახერხებენ სტუდენტები აღნიშნული საკითხების შესწავლას ერთი სემესტრის განმავლობაში. ასევე მიმართა ექსპერტთა ჯგუფს დაეფიქსირებინათ მათი მოსაზრება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, რადგან დასკვნაში არ ფიქსირდება არანაირი რჩევა, რეკომენდაცია ან ექსპერტების პოზიცია. დიანა მჭედლიშვილმა გამოთქვა მოსაზრება, რომ სასურველია აღნიშნული სილაბუსში მოცემული საკითხები გაყოს ორ სემესტრზე და შესაბამისი კრედიტები მიენიჭოს და უნდა გადაიხედოს თემატიკას, რომ დაძლევადი გახდეს სტუდენტებისათვის ერთი სემესტრის განმავლობაში.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ნოდარ ფოფორაძეს.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ პროფესიიდან გამომდინარე მისი პასუხი შესაძლებელია არ იყოს ამომწურავი. ასევე დასძინა, რომ ექსპერტთა ჯგუფმა ყურადღება

გაამახვილე ის საგნებზე, რომლითაც საგანმანათლებლო პროგრამა გადის კვალიფიკაციაზე და საფაკულტეტო საგნები სიღრმისეულად არ შეუსწავლიათ.
საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლებს.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ კალკულუსის სილაბუსში მოცემული საკითხები არის ძალიან მარტივი, წარმოდგენილია ელემენტარული წარმოებები და ფუნქციები, რომელიც ასევე საშუალო სკოლის დონეზეც ისწავლება. და სილაბუსში არსებული საკითხები სტუდენტებს სჭირდებათ შემდგომი საქმიანობისათვის, რადგან ფიზიკური გეოგრაფიის საგანმანათლებლო პროგრამაში მათ უწევთ სხვადასხვა ფუნქციებისა და ინტეგრალების გამოყენება. დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე დაადასტურა, რომ კალკულუსის სილაბუსში ასახული საკითხები დაძლევადია სტუდენტებისათვის და ამ მხრივ მათ პრობლემა არ შექმნიათ.

საბჭოს წევრმა დიანა მჭედლიშვილმა აღნიშნა, რომ ინტეგრალები საჭიროა განსაკუთრებით ფიზიკური გეოგრაფიის სწავლებისათვის, და მისი აზრი ის ორი კვირა არ არის საკმარისი რათა სტუდენტებმა ისწავლონ სხვადასხვა ინტეგრების, მათი გამოყენება, ასევე ფიგურათა ფართობების გამოთვლა, საგნის მოცულობის გამოთვლა, რაც სტუდენტებს შემდგომში დასჭირდებათ.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს წევრების ყურადღება გაამახვილა შრომის ბაზრის კვლევასთან დაკავშირებით დასმულ კითხვაზე და აღნიშნა, რომ მე-13 დანართში მოცემულია კითხვარი, რომელსაც აწერია სარეკომენდაციო ფორმა, და ამ კითხვარში გამუქებული პუნქტები არის რესპოდენტების მიერ დაფიქსირებული მოსაზრება საგანმანათლებლო პროგრამის მიმართ.

საბჭოს თავმჯდომარემ, ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანმა იკითხა, თუ რამდენად ვალიდ ურია და საკმარისია ორი რესპოდენტისგან მიღებული უკუკავშირი შრომის ბაზრის მოთხოვნების ანალიზისათვის.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ რესპოდენტები იყვნენ შრომის ბაზარზე არსებული ძირითადი დამსაქმებლები, რომლებიც შრომის ბაზარზე გეოგრაფიის მიმართულების ძირითად ნაწილს მოიცავენ და მათი აზრის გათვალისწინება ძალიან მნიშვნელოვანი იყო საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის პროგრამის განვითარებისათვის. ასევე აღნიშნა, რომ გარდა მათ მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგებისა, ასევე იყენებენ სტატისტიკის ეროვნული სააგენტოს მიერ ჩატარებული კვლების შედეგებს.

საბჭოს თავმჯდომარე, ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი დაინტერესდა, კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლით. და საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულთა ძირითადი ნაწილი სად საქმდება.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა დაასახელა ის ორგანიზაციები, რომლებიც ასაქმებენ აღნიშნული მიმართულების კურსდამთავრებულებს, ასევე აღნიშნა, რომ გარკვეული ნაწილი საქმდება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში და ტურიზმის სფეროშიც.

საბჭოს თავმჯდომარე, ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი დაინტერესდა, ჩამოთვლილი პოტენციური დამსაქმებლებიდან გამომდინარე, რამდენად იყო საკმარისი ორი რესპოდენტის მიერ გაკეთებული შეფასება, და რამდენად შეძლებს განსაზღვრას, თუ რა უნარებს უნდა ფლობდეს მომავალი კურსდამთავრებული.

საბჭოს თავმჯდომარემ, ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანმა, სთხოვა დაწესებულებას დაეზუსტებინათ, ერთ-ერთ ორგანიზაციასთან დაკავშირებით, თუ რამდენი ბაკალავრიატის კურსდამთავრებულის დასაქმება შეუძლია მას ყოველწლიურად.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ორგანიზაცია მუშაობს სხვადასხვა პროექტებზე და სწორად ამ პროექტების ფარგლებში ყოველწლიურად 10 კურსდამთავრებულს ასაქმებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ კითხვები საგანმანათლებლო დაწესებულების ან ექსპერტთა ჯგუფის მიმართ გეოგრაფიის საბაკალავრო პროგრამასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

საბჭოს წევრებმა აღნიშნეს, რომ კითხები არ ჰქონდათ.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს წარმოადგინა ფიზიკური გეოგრაფია და გარემოს მდგრადი განვითარების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრება.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ნოდარ ფოფორაძემ დაადასტურა, რომ აღნიშნულ პროგრამასთან მიმართებით მათ რეკომენდაციები არ გაუციათ.

ნოდარ ფოფორაძემ აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო დაწესებულება აქტიურად იყენებს მის მიერ შემოერთებული ინსტიტუციის კვლევით ბაზებს აღნიშნული პროგრამის განხორციელებაში. განაცხადა, რომ აღნიშნულ ინსტიტუციებს დიდი წვლილი შეაქვთ საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებაში. კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომლები ასევე ჩართულები არის, როგორც მაგისტრანტების ხელმძღვანელები და ასევე ეს ინსტიტუტები არის ძირითადი დამსაქმებლები სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულების.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელს, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ერთ-ერთ ხელმძღვანელს.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომდგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული სამუშაოსათვის და დასძინა, რომ მათ მიერ გაცემული რჩევები არის ძალიან მნიშვნელოვანი და ისინი ეთანხმებიან და გაითვალისწინებენ მათ მოსაზრებებს საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების პროცესში.

საბჭოს თავმჯდომარემ, ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანმა მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დასაზუსტებელი კითხვა საგანმანათლებლო დაწესებულებასთან და ექსპერტთა ჯგუფთან

საბჭოს თავმჯდომარემ, ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანმა, მიმართა ექსპერტთა ჯგუფს მათ მიერ გაცემული რჩევის შესახებ, რომელიც მოცემულია 2.6 კომპონენტში ექსპერტთა ჯგუფს აქვთ

გაცემული რჩევა პრაქტიკის ობიექტების რაოდენობის გაზრდასთან დაკავშირებით. ასევე 4.3 კომპონენტში მოცემულის რჩევა კვლევის მეთოდოლოგიის გაძლიერებასთან დაკავშირებით. სთხოვა დაეზუსტებინათ, თუ რამ განაპირობა აღნიშნული რჩევების შემუშავების საჭიროება.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ნოდარ ფოფორაძემ, განმარტა, რომ 2011 წლიდან საგანმანათლებლო პროგრამამ განიცადა ცვლილებები და გაუმჯობესებულია როგორც საველე პრაქტიკის კომპონენტი, ასევე კვლევის მეთოდებით, მაგრამ, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუერების შემდეგ კიდევ ერთხელ დააფიქსირეს აღიშნული საკითხები, რადგან ისინი კიდევ მეტი პრაქტიკული კომპონენტების განხორციელებას ითხოვდნენ.

საბჭოს წევრმა, დიანა მჭედლიშვილმა მიმართა ექსპერტთა ჯგუფს განემარტათ მათი მოსაზრება ექსპერტთა დასკვნაში არსებულ რჩევებთან, რომელიც ეხებოდა სამეცნიერო კვლევით დაწესებულებების თანამშრომლების მეტ ჩართულობას საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება-განვითარების პროცესში, სთხოვა განემარტა აღნიშნული რჩევების დაფიქსირების საჭიროება საიდან გამომდინარეობდა.

საბჭოს თავმჯდომარემ, ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანმა ასევე ითხოვა დაეფიქსირებინათ მათი აზრი სამაგისტრო ნაშრომებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ნოდარ ფოფორაძემ, სამაგისტრო ნაშრომებთან დაკავშირებით განაცხადა, რომ მათ მიერ შემთხვევითი შერჩევის პრინციპით მოხდა ნაშრომების შერჩევა და წარმოდგენილი ნამუშევრები იყო მაღალი დონის და მკაფიოდ იყო გამოკვეთილი კვლევის კომპონენტი.

ნოდარ ფოფორაძემ, დიანა მჭედლიშვილის კითხვასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ კვლევითი ინსტიტუციების წარმომადგენლები ჩართულები არიან საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში, მაგრამ ისინი უფრო მეტ მზაობას გამოხატავენ და სურთ უფრო მეტად ხდებოდეს მათი ჩართვა პროგრამის განვითარების პროცესში.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით განაცხადა, რომ კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომელთა ჩართულობა საგანმანათლებლო პროგრამაში ხდება მაგისტრანტის მიერ არჩეული თემატიკიდან გამომდინარე, მაგისტრანტს, უნივერსიტეტის დებულების მიხედვით, ხელმძღვანელობას უწევს საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური პერსონალი და მაგისტრანტის სურვილის შემთხვევაში ხდება თანახელმძღვანელის დანიშვნა. ამ კუთხით ისინი იყენებენ კვლევით ინსტიტუტის თანამშრომლებს.

საბჭოს წევრმა, დიანა მჭედლიშვილმა აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის მიღების წინაპირობებში არ არის მოთხოვნილი უცხო ენა და მხოლოდ სასწავლო გეგმაში ჩანს ჩანაწერები „უცხო ენა 1“ და „უცხო ენა 2“. მისი კითხვა სწორად აქედან გამომდინარეობს. ამ ჩანაწერში რა მოიაზრება, სტუდენტს შეუძლია ნებისმიერ უცხო ენა აირჩიოს, თუ კონკრეტულად რომელიმე უცხო ენაზე, მაგალითად ინგლისურთან მიმართებით არის აქცენტი გავრცელებული. ასევე იკითხა, თუ საგანმანათლებლო დაწესებულება ჩარიცხვის პერიოდში არ ამოწმებს უცხო ენის ცოდნის დონეს შესაძლებელია თუ არა სასწავლო გეგმაში მოცემული ამ ორი საგით სტუდენტმა დაფაროს დარგისთვის საჭიროს უცხო ენის B2 დონე. ასევე დაინტერესდა როგორ ახდენს უნივერსიტეტი უცხო ენის დარგისთვის საჭირო შედეგებზე გასვლას.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ეთანხმება საბჭოს წევრს და სასურველი კურსდამთავრებულმა სამაგისტრო საფეხურის დასრულების შემდეგ მიაღწიოს ინგლისური ენის B2 დონეს, თუმცა საბაკალავრო პროგრამაზე და არამარტო მასზე ნებადართულია აბიტურიენტმა ჩააბაროს გერმანული და ფრანგული ენაც, შესაბამისად ვერც სამაგისტრო საფეხურზე აკეთებს შეზღუდვას და სტუდენტს საშუალება აქვს სამი ევროპული ენიდან აირჩიოს ერთ-ერთი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ კითხვები საგანმანათლებლო დაწესებულების ან ექსპერტთა ჯგუფის მიმართ „ფიზიკური გეოგრაფია და გარემოს მდგრადი განვითარების“ სამაგისტრო პროგრამასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

საბჭოს წევრებმა აღნიშნეს, რომ კითხები არ ჰქონდათ.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს წარმოადგინა „გეომორფოლოგია, კარტოგრაფია და ლანდშაფტური დაგეგმარების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრება.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ნოდარ ფოფორაძემ დაადასტურა, რომ აღნიშნულ პროგრამასთან მიმართებით, ისევე როგორც წინა საკითხზე, მათ რეკომენდაციები არ გაუციათ.

ნოდარ ფოფორაძემ აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო დაწესებულება აქტიურად იყენებს მის მიერ შემოერთებული ინსტიტუციის კვლევით ბაზებს, როგორც „ფიზიკური გეოგრაფია და გარემოს მდგრადი განვითარების“ ისე „გეომორფოლოგია, კარტოგრაფია და ლანდშაფტური დაგეგმარების“ სამაგისტრო პროგრამების განხორციელებაში. განაცხადა, რომ აღნიშნულ ინსტიტუციებს დიდი წვლილი შეაქვთ აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებაშიც. კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომლები ასევე ჩართულები არის, როგორც მაგისტრანტების ხელმძღვანელები და ასევე ეს ინსტიტუტები არის ძირითადი დამსაქმებლები სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულების.

საბჭოს თავმჯდომარემ, ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანმა კითხვით მიმართა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს, დასკვნაში დაფიქსირებულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელიც ეხება სტუდენტებსა და დამსაქმებლებს შორის კოორდინაციის გაუმჯობესებას. სთხოვა დაეზუსტებინა, თუ რამ გამოიწვია აღნიშნული რჩევის გაცემის საჭიროება.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ნოდარ ფოფორაძემ აღნიშნა, რომ ერთ-ერთი დამსაქმებლის მიერ აღნიშნული იყო, რომ მის ორგანიზაციას აქვს მეტი საშუალება უფრო ეფექტურად ჩაერთოს საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებაში.

საბოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლებს.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა დამსაქმებლებთან კავშირის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით განმარტა, რომ აღნიშნული საკითხი მათაც გასაუმჯობესებელ მხარეებში აქვთ ჩაწერილი და ამ მიზნით ატარებენ სხვადასხვა ღონისძიებებს, აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებას გააჩნია კარიერული განვითარების ცენტრი, რომელიც პერიოდულად ატარებს სხვადასხვა სახის შეხვედრებს სტუდენტებსა და დამსაქმებლებს შორის, თუმცა მიაჩნიათ რომ ამ კუთხით უფრო მეტი აქტიურობაა საჭირო. ასევე აღნიშნა, რომ გარდა ამ შეხვედრებისა ხშირად დამსაქმებლები

თავადაც მიმართავენ საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციას და სთხოვენ, რომ სტუდენტებს გაუწიონ რეკომენდაცია და გაუშვან სხვადასხვა სახის შეხვედრებზე, ან ჩართონ მათ საქმიანობაში.

საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა ასევე აღნიშნა, რომ ეს დარგი არის ძალიან სწრაფად მზარდი და განვითარებადი. ბოლო პერიოდში კი ამ მიმართულების სპეციალისტებზეც მოთხოვნა გაიზარდა და ამიტომ თვითონ დამსაქმებლებსაც მეტი მოთხოვნა აქვთ ყოველწლიურად და უფრო მეტი კადრის მომზადებას ითხოვენ.
საბჭოს თავმჯდომარემ, ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანმა აღნიშნა, რომ სწორედ ის ფაქტი, რომ დარგი მზარდია და მოთხოვნადია, იყო ზემოაღნიშნული კითხვის მიზეზი, თუ რამდენად ვალიდურია საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ჩატარებული დამსაქმებელთა გამოკითხვა, სადაც მხოლოდ ორი რესპოდენტია გამოკითხული.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დაეფიქსირებინათ მათი მოსაზრება განსახილველ საგანმანათლებლო პროგრამასთან მიმართებით. თუმცა საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ, ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანმა მიმართა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს 1.2 კომპონენტთან მიმართებით დაფიქსირებულ რჩევასთან მიმართებით, რომელშიც აღნიშნულია, რომ სასურველია სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებთან თანამშრომლობის მეტად გაუმჯობესება სასწავლო პროგრამის კიდევ უფრო დახვეწის მიზნით, სთხოვა განემარტათ, თუ რას გულისხმობდნენ აღნიშნულ ჩანაწერში. თუ საგანმანათლებლო დაწესებულება განავითარებს და გააღრმავებს თანამშრომლობას სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებთან, როგორ აისახება ეს პროგრამის განვითარებაში, რა კუთხით გამოვლინდება ეს დახვეწა.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ნოდარ ფოფორაძემ აღნიშნა, რომ ტერმინში „დახვეწა“ იგულისხმეს საგანმანათლებლო პროგრამის უფრო მეტად გათანამედროვება და ამ კუთხით გასცეს კიდევ ერთი რჩევა, რომ საგანმანათლებლო პროგრამას არჩევით საგნად დაემატოს დისტანციური ზონდირება და თანამგზავრული დაკვირვების სისტემები, რაც უზრუნველყოფს თანამედროვე სისტემების უფრო მეტად დანერგვას საგანმანათლებლო პროგრამაში. ასევე აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამას აქვს შესაძლებლობა და მზაობა განვითარდეს ამ კუთხით და დაწყებულიც აქვთ მუშაობა აღნიშნული მიმართულებით.

საბჭოს წევრმა, დიანა მჭედლიშვილმა აღნიშნა, რომ აღნიშნულ საგანმანათლებლო პროგრამის მიღების წინაპირობებშიც, ისევე როგორს წინა სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში, არ არის მოთხოვნილი უცხო ენა და მხოლოდ სასწავლო გეგმაში ჩანს ჩანაწერები „უცხო ენა 1“ და „უცხო ენა 2“. თუმცა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებთ უკვე მიიღო უნივერსიტეტის წარმომადგენლებისგან განმარტება და ამიტომ აღარ განმეორდება.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა ითხოვა ნებართვა განემარტა გარკვეული საკითხები, რომელიც შეიძლება საგანმანათლებლო პროგრამების მიმართ ბადებდეს კითხვებს. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით განმარტა, რომ საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების ერთმანეთთან კოორდინაციაში, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში საგანმანათლებლო დაწესებულებამ გაითვალისწინა წინა ექსპერტთა რეკომენდაცია და პროგრამაში შეიტანეს საგანი დისტანციურ ზონდირების სწავლებასთან დაკავშირებით, რას შეეხება სამაგისრტრო საგანმანათლებლო პროგრამებს აქვთ ჩასმული საგანი „გეოსივრცითი ანალიზი“ სადაც ისწავლება დისტანციური

ზონდირების საკითხები. საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში აღნიშნული საკითხები ისწავლება უფრო სიღრმისეულად, ვიდრე საბაკალავრო საფეხურზე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ კითხვები საგანმანათლებლო დაწესებულების ან ექსპერტთა ჯგუფის მიმართ „გეომორფოლოგია, კარტოგრაფია და ლანდშაფტური დაგეგმარების“ სამაგისტრო პროგრამასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

საბჭოს წევრებმა აღნიშნეს, რომ კითხები არ ჰქონდათ.

11:47 საათზე საბჭოს სხდომას შემოუერთდა თამარ ჩხეიძე

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა:

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს წარმოადგინა გეოგრაფიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრება.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ მნიშვნელოვანია უნივერისტეტში არსებული ის ადგილობრივი და საერთაშორისო დაფინანსებები და გრანტები, რომელსაც დიდი წვლილი შეაქვს არა მხოლოდ საგანმანათლებლო პროგრამის, არამედ უნივერსიტეტის განვითარებაშიც. ასევე აღნიშნა, რომ თავად დოქტორანტები არიან ხელმძღვანელები საგრანტო პროგრამების სადაც თავიანთ კვლევის კომპონენტს აქტიურად ახორციელებენ. ექსპერტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ აღნიშნულ გრანტებზეა დამოკიდებული შიდა საუნივერსიტეტო დაფინანსებაც, რომლის ფარგლებშიც დოქტორანტებს აქვთ საშუალება დააფინანსონ საკუთარი ნაშრომების გამოქვეყნება. თუმცა აქვე აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს ბევრი სტატუს შეჩერებული სტუდენტი და ამ მიმართულებითაც საგანმანათლებლო დაწესებულებას აქვს ჩასატარებელი გარკვეული სამუშაოები.

საბჭოს თავმჯდომარემ, ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანმა, სიტყვა გადასცა საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლებს.

საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი მიესალმა საბჭოს წევრებს და მადლობა გადაუხარა ექსპერტთა ჯგუფის გაწეული სამუშაოსა და მათ მიერ პროგრამის განვითარებისათვის საჭირო რჩევების გაცემისათვის და გამოხატა მზაობა აღნიშნული რჩევების გათვალისწინების შესახებ.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა გააკეთა განმარტება სტატუს შეჩერებული დოქტორანტების რაოდენობასთან დაკავშირებით. აღნიშნა, რომ სტუდენტთა დიდი ნაწილი მუშაობს, ასევე ნაწილი წასულია უცხოეთში კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, გარკვეულ შემთხვევაში ვერ ასწრებენ ნაშრომის დასრულებას და შესაბამისად იჩერებენ სტატუს, რომ მეტი დრო ჰქონდეთ ჩამოთვლილი აქტივობების განსახორციელებლად.

საბჭოს თავმჯდომარემ, ნათია ზედგინიძე- ჯიშკარიანმა, ციტირება გააკეთა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული რჩევის: „სტატუს შეჩერებული სტუდენტების დიდი რაოდენობა არ უნდა აფერხებდეს ახალი ნაკადის მიღებას“, და სთოვა დაწესებულებას განმარტება გაეკეთებინათ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ უნივერსიტეტში მოქმედებს შიდა რეგულაცია, რომელიც ზღუდავს დოქტორანტთა მიღების რაოდენობას და აწესებს ზღვარს, თუ რამდენი დოქტორანტის მიღებაა შესაძლებელი, თუმცა აქვე აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამას ამ რაოდენობისათვის არ გადაუჭარბებია და ამიტომ სტუდენტების მიღების პრობლემა არ შეიქმნება. აღნიშნა, რომ სტუდენტების სხვაგან მუშაობის ძირითადი მიზეზი არის, ის, რომ მათ ვერ უხდიან ისეთ სტიპენდია, როგორც ეს ევროპის და ამერიკის ბევრ უნივერსიტეტებშია. თუმცა, რომ გეოგრაფიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე, სწავლის საფასური სტუდენტებისათვის აქვთ შემცირებული და შეადგენს წელიწადში 300 ლარს, ნაცვლად 2250 ლარისა. გარდა ამისა უნივერსიტეტი, დოქტორანტებში მოტივაციის ამაღლების მიზნით, გამოყოფს თანხებს სტატიების გამოქვეყნებისთვის. უნივერსიტეტი ასევე ცდილობს დოქტორანტი დასაქმებული იყოს მათთან, საგრანტო პროექტებში ან მოწვეულ პედაგოგებად, რათა დოქტორანტებს მეტი საშუალება ჰქონდეთ ძირითადი ყურადღება და დრო დაუთმონ დისერტაციის დაცვას.

საბჭოს თავმჯდომარემ, ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანმა სთხოვე ექსპერტს განემარტა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის 3.1 ქვესტანდარტში დაფიქსირებული რჩევები და უფრო განევრცო ექსპერტთა მოსაზრება ამ საკითხებთან დაკავშირებით:1. სასურველია, დოქტორანტების ადგილობრივი და საერთაშორისო სტატიების გამოცემისათვის დაფინანსების გაზრდა; 2. სასურველია, დოქტორანტების მიზნობრივი კვლევითი საქმიანობების მეტი მხარდაჭერა.

საბჭოს თავმჯდომარემ, ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანმა მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, რომ მათაც დაეფიქსირებინათ მოსაზრება ზემოაღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო დაწესებულება ზრუნავს სტუდენტთა დაფინანსებაზე და მათ მხარდაჭერაზე, მაგრამ გასაუბრებების დროს სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების მხრიდან დაფიქსირდა მოსაზრება, რომ უნივერსიტეტს გაეზარდა დაფინანსება და გარკვეულ კვლევებში მეტი დახმარება გაეწია სტუდენტისათვის.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ გამოსცა დადგენილება სტატიების დაფინანსების შესახებ, ასევე განაცხადა, რომ ეს საკითხი საგანმანათლებლო პროგრამის გასაუმჯობესებელ მხარეებშიც აქვთ დაფიქსირებული და საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები მუშაობენ აღნიშნული საკითხის განვითარებაზე, ამისათვის უნივერსიტეტის ზრუნავს, რომ მიზიდოს მეტი საგრანტო პროექტი და უფრო მეტად ჩართოს დოქტორანტები აღნიშნული პროექტების განხორციელებაში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ კითხვები საგანმანათლებლო დაწესებულების ან ექსპერტთა ჯგუფის მიმართ „გეოგრაფიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

საბჭოს წევრებმა აღნიშნეს, რომ კითხები არ ჰქონდათ.

სათათბირო შესვენება:
დაწყების დრო 12:10
დამთავრების დრო 12:47

პირველი საკითხი: გეოგრაფიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა
საბჭო ნაწილობრივ იზიარებს ექსპერტთა დასკვნაში ასახულ შეფასებას

კერძოდ, საბჭოს თავმჯდომარემ დამატებით განმარტა, რომ საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, საბჭო შეთანხმდა, რომ 1,2 ქვესტანდარტი, რომელიც ექსპერტებს შეფასებული ქონდათ როგორც „შესაბამისია მოთხოვნებთან“ საბჭოს მიერ მიჩნეულ იქნა როგორც - „მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან“, თუმცა აღნიშნულმა ცვლილებამ არ გამოიწვია პირველი სტანდარტის შეფასების ცვლილება

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „გეოგრაფიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 10
წინააღმდეგი: 0
აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციები:

1. რეკომენდირებულია პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაში მოვიდეს თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებთან;
2. სილაბუსებში თემატიკების (გისი) და შედეგების (ნიადაგმცოდნეობა) დაზუსტება ;
3. სასწავლო კურსი „კალკულუსი“ შესაბამისობაში მოვიდეს/მოდიფიცირდეს პროგრამის მიზნებთან და შედეგებთან;

რჩევები:

- სასურველია, უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ შეიმუშაოს უშუალოდ პროგრამის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია და მისი განვითარების კონკრეტული გეგმები. აღნიშნულის საფუძველზე, პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე, უნივერსიტეტი უფრო ეფექტურად მოახდენს საჭირო აქტივობების განხორციელებას, ჩამოყალიბებული სტრატეგიისა და დაგეგმილი ეტაპების შესაბამისად, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ამასთანავე, მიზანშეწონილია, უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკისა და სტრატეგიის დოკუმენტით გათვალისწინებული საერთაშორისო თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის ისეთი მექანიზმების პროგრამაში გათვალისწინება, როგორიცაა უცხოელი პარტნიორი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის მოწვევა და მათი ჩართვა სასწავლო პროცესში;
- სასწავლო კურსის სილაბუსებში დაემატოს თანამედროვე ინგლისურენოვანი ლიტერატურა, როგორც დამხმარე მასალები. ეს ერთის მხრივ სრულ თანხვედრაშია ინგლისურის სწავლების გაძლიერებასთან თსუ-შიდა ამავე დროს უბიძგებს სტუდენტებს გაეცნონ და გამოიყენონ თანამედროვე ცოდნა გეოგრაფიაში
- საველე პრაქტიკებისას სტუდენტების მონაწილეობა საველე გასვლებისას იყოს კიდევ უფრო მიზნობრივი;
- ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაში სასწავლო კურსის „აკადემიური წერის“ ჩართვა თუნდაც არჩევით საგნად, რათა უკეთ შეესაბამოს „მეცნიერებათა ბაკალავრი გეოგრაფიაში“ კვალიფიკაციას;

- უცხო ენის სწავლების მეთოდოლოგიის გაუმჯობესება, პროფესიული ტერმინების სწავლების დამატება;
- სასურველია ახალ რიდერებთან, სალექციო კურსებთან ერთად თანამედროვე სახელმძღვანელოების შექმნა/მომზადება;
- პროგრამის ინტერნაციონალიზაციის მეტად განვითარება, სასურველია, უცხოელი აკადემიური პერსონალის მოწვევა სასწავლო და სამეცნიერო პროცესის მეტად განვითარებისათვის;
- ლაბორატორიული ბაზის გაუმჯობესების დინამიკის შენარჩუნება;

გადაწყვეტილება

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მ უხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „გეოგრაფიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით.

მეორე საკითხი: „ფიზიკური გეოგრაფია და გარემოს მდგრადი განვითარების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა

საბჭო ნაწილობრივ იზიარებს ექსპერტთა დასკვნაში ასახულ შეფასებას

კერძოდ, საბჭოს თავმჯდომარემ დამატებით განმარტა, რომ საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთ შეჯერების შედეგად, საბჭო შეთანხმდა, რომ 1.2 და 2.2 ქვესტანდარტები, რომელიც ექსპერტებს შეფასებული ქონდათ როგორც „შესაბამისია მოთხოვნებთან“ საბჭოს მიერ მიჩნეულ იქნა როგორც - „მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან“, თუმცა აღნიშნულმა ცვლილებამ არ გამოიწვია პირველი და მე-2 სტანდარტების შეფასების ცვლილება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფიზიკური გეოგრაფია და გარემოს მდგრადი განვითარების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 10
წინააღმდეგი: 0

აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციები:

1. რეკომენდირებულია პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაში მოვიდეს თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებთან
2. უზრუნველყოფილი იყოს ინგლისური ენის B2 დონეზე მიღწევის შესაძლებლობა;

რჩევები:

- სასურველია დარგობრივი უცხო ენის სწავლების შემოტანა;
- სასურველია არჩევით საგნად დაემატოს დისტანციური ზონდირება და თანამგზავრული დაკვირვების სისტემები;
- სასწავლო კურსის სილაბუსებში დაემატოს თანამედროვე ინგლისურენოვანი დამატებითი ლიტერატურა;
- სასურველია შესაბამისი პროფილის სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების სამეცნიერო პერსონალის სასწავლო პროცესში მეტად ჩართვა ცოდნისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით;
- სასურველია სტუდენტების ელექტრონული სერვისების გაუმჯობესება;
- სასურველია, პრაქტიკის ობიექტების მეტად გაზრდა;
- სასურველია, ინტერნაციონალიზაციის გეგმის შესაბამისად, სტუდენტთა მეტი დაინტერესება და ჩართულობა საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში;
- •სასურველია, მეტად გაიზარდოს სტუდენტთა მხარდაჭერა კვლევით საქმიანობებში;
- •სასურველია, სტუდენტთა და დამსაქმებლებს შორის მეტი კოორდინაცია.
- სასურველია ლაბორატორიული ბაზის განახლების არსებული დინამიკის შენარჩუნება და კვლევის მეთოდოლოგიის გაძლიერება და გაღრმავება;

გადაწყვეტილება

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მ უხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფიზიკური გეოგრაფია და გარემოს მდგრადი განვითარების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით.

მესამე საკითხი: „გეომორფოლოგია, კარტოგრაფია და ლანდშაფტური დაგეგმარების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა

საბჭო ნაწილობრივ იზიარებს ექსპერტთა დასკვნაში ასახულ შეფასებას

კერძოდ, საბჭოს თავმჯდომარემ დამატებით განმარტა, რომ საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთ შეჯერების შედეგად, საბჭო შეთანხმდა, რომ 1.2 და 2.2 ქვესტანდარტები, რომელიც ექსპერტებს შეფასებული ქონდათ როგორც

„შესაბამისია მოთხოვნებთან“ საბჭოს მიერ მიჩნეულ იქნა როგორც - „მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან“, თუმცა აღნიშნულმა ცვლილებამ არ გამოიწვია პირველი და მე-2 სტანდარტების შეფასების ცვლილება

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „გეომორფოლოგია, კარტოგრაფია და ლანდშაფტური დაგეგმარების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 10
წინააღმდეგი: 0

აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციები:

1. რეკომენდირებულია პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაში მოვიდეს თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებთან

1. უზრუნველყოფილი იყოს ინგლისური ენის B2 დონეზე მიღწევის შესაძლებლობა;

რჩევები:

- სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებთან თანამშრომლობის მეტად გაუმჯობესება სასწავლო პროგრამის კიდევ უფრო დახვეწის მიზნით;
- სასურველია დარგობრივი უცხო ენის სწავლების შემოტანა
- სასურველია არჩევით საგნად დაემატოს დისტანციური ზონდირება და თანამგზავრული დაკვირვების სისტემები;
- სასწავლო კურსის სილაბუსებში დაემატოს თანამედროვე ინგლისურენოვანი დამატებითი ლიტერატურა.
- სასურველია შესაბამისი პროფილის სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების სამეცნიერო პერსონალის სასწავლო პროცესში მეტად ჩართვა ცოდნისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით.
- სასურველია, ინტერნაციონალიზაციის გეგმის შესაბამისად, სტუდენტთა მეტი დაინტერესება და ჩართულობა საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში.
- სასურველია, მეტად გაიზარდოს სტუდენტთა მხარდაჭერა კვლევით საქმიანობებში;
- სასურველია მაგისტრებისათვის ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის არჩევა მსგავსი პროფილის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუციებიდან.
- სასურველია ლაბორატორიული ბაზის განახლების არსებული დინამიკის შენარჩუნებ ადა კვლევის მეთოდოლოგიის გაძლიერება და გაღრმავება;

გადაწყვეტილება

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მ უხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011

წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „გეომორფოლოგია, კარტოგრაფია და ლანდშაფტური დაგეგმარების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით.

მეოთხე საკითხი: „გეოგრაფიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა
საბჭო ნაწილობრივ იზიარებს ექსპერტთა დასკვნაში ასახულ შეფასებას

კერძოდ, საბჭოს თავმჯდომარემ დამატებით განმარტა, რომ საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთ შეჯერების შედეგად, საბჭო შეთანხმდა, რომ 1.2 ქვესტანდარტი, რომელიც ექსპერტებს შეფასებული ქონდათ როგორც „შესაბამისია მოთხოვნებთან“ საბჭოს მიერ მიჩნეულ იქნა როგორც - „მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან“, თუმცა აღნიშნულმა ცვლილებამ არ გამოიწვია პირველი სტანდარტის შეფასების ცვლილება

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „გეოგრაფიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 11
წინააღმდეგი: 0

აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციები:

1. რეკომენდირებულია პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაში მოვიდეს თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებთან;

რჩევები:

- სასურველია, დოქტორანტების მიზნობრივი კვლევითი საქმიანობების მეტი მხარდაჭერა.
- სასურველია, მოხდეს სტუდენტების აქტიური ჩართვა საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში (ხელი შეეწყოს სტუდენტთა ცნობიერების ამაღლებას და მათ შემდგომ ჩართულობას გაცვლითი პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ ინტერნაციონალიზაციის პროცესებში).
- სასურველია, ლაბორატორიული ბაზის გაუმჯობესების დინამიკის შენარჩუნება;
- სასურველია დოქტორანტებს ჰყავდეთ თანახელმძღვანელი შესაბამისი პროფილის სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების სამეცნიერო პერსონალიდან;
- სასურველია, დოქტორანტების ადგილობრივი და საერთაშორისო სტატიების გამოცემისათვის დაფინანსების გაზრდა;
- სასურველია დამსაქმებლების რჩევების მეტად გათვალისწინება პროგრამის ფუნქციონირებაში.

გადაწყვეტილება
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების

შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მ უხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „გეოგრაფიის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით.

12:47 საბჭოს სხდომა დატოვეს საბჭოს წევრებმა ანზორ ბერიძემ და დავით კაპანაძემ

საბჭოს თავმჯდომარემ დააყენა შუამდგომლობა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "სამთო და გეოინჟინერიის" საბაკალავრო და "სამთო ტექნილოგიების" სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საკითხი განეხილათ ერთად სათათბირო შესვენების გარეშე, რადგან ორივე საგანმანათლებლო პროგრამა შემოწმებულია ერთი ექსპერტთა ჯგუფის მიერ. საბჭოს წევრები, საგანმანათლებლო დაწესებულებისა და ექსპერტთა ჯგუფის წევრები დათანხმდნენ აღნიშნულ ინიცირებას.

12:48 საათზე საბჭოს სხდომას შემოუერთდნენ საბჭოს წევრები მარიამ შენგელია, ნინო ჭალაგანიძე; თეონა მატარაძე, გიორგი ღაღანიძე

მეხუთე საკითხისსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „სამთო და გეოინჟინერიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სამთო და გეოინჟინერია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	გადაწყვეტილება № 416, 2012 წელი24 სექტემბერი
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	სამთო და გეოინჟინერია
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეექვსე
9	კვალიფიკაციის დასახელება	სამთო და გეოინჟინერიის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0724 სამთო საქმე და მოპოვება
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	

		მ. კოსტავას ქ., No77 თბილისი, სასწავლო კორპუსი No3, 0160, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

მეექვსე საკითხი: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „სამთო ტექნოლოგიების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სამთო ტექნოლოგიები
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	გადაწყვეტილება № 510, 2012 წელი, 28 სექტემბერი
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	სამთო ტექნოლოგიები
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მერვე
9	კვალიფიკაციის დასახელება	სამთო და გეოინჟინერიის დოქტორი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0724 სამთო საქმე და მოპოვება
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	50
14	განხორციელების ადგილი	მ. კოსტავას ქ., No77 თბილისი, სასწავლო კორპუსი No3, 0160, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ აკრედიტაციის საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

აკრედიტაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ კი

საბჭოს წევრის სახელი, გვარი: ნინო იმნაძე; ელიზბარ ელიზბარაშვილი
თვითაცილების საფუძველი: შრომითი ურთიერთობა საგანმანათლებლო დაწესებულებასთან

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა:

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს, ნინო დონდოლაძეს წარმოედგინა ექსპერტთა ჯგუფის მერ შემუშავებული რეკომენდაციები „სამთო და გენოინჟინერიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიმართ.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, სოფიო უგრეხელიძემ განაცხადა, რომ თავად წარადგენდა ექსპერტთა დასკვნაში არსებულ რეკომენდაციებს, რადგან მე-5 სტანდარტთან მიმართებით მან იმუშავა.
ექსპერტთა ჯგუფის წევრმა განაცხადა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის ძლიერ მხარედ შეიძლება აღინიშნოს დაწესებულების მჭიდრო კავშირო დამსაქმებლებთან და მათი ჩართულობა პროგრამის განვითარებაში. ხოლო რაც შეეხება მე-5 სტანდარტის მიმართ გაცემულ რეკომენდაციებს, განმარტა, რომ ისინი ეხება პროცესების ერთგვაროვნებას და შიდა საუნივერსიტეტო აქტების კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანას. რადგან ამ სტანდარტით განსაზღვრული რეგულაციები არის ზოგადი და საგანმანათლებლო პროგრამების სპეციფიკების მიუხედავად, თუნდაც სტუდენტთა, პროფესორ-მასწავლებელთა და სხვა შეფასების პროცესები უნდა იყოს ერთგვაროვანი. საბაკალავრო პროგრამის შემდგომი განვითარებისთვის ასევე მიზანშეწონილია უნივერსიტეტმა, გარდა მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სავალდებულო გარე შეფასების პროცედურებისა, განახორციელოს პროგრამის გარე შეფასება ისეთი პროცედურების მეშვეობით, როგორიც არის განმავითარებელი შეფასება, მოწვეული ექსპერტების მიერ პროგრამების შეფასება და დასახოს სამოქმედო გეგმა მიღებული რჩევებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებისათვის. ექსპერტთა ჯგუფის წევრმა ასევე აღნიშნა, რომ მათ მიერ გაცემული რეკომენდაციები განავითარებს უნივერსიტეტის ხარისხის მექანიზმებს, რაც დადებითად აისახება არამხოლოდ აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამის მიმართ.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელს, დავით მახვილაძეს.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა, დავით მახვილაძემ მე-5 სტანდარტის მიმართ გაცემულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ უნივერსიტეტში უკვე შემუშავებულია გარკვეული რეგულაციები და გაიწერა პროცედურები, რომელიც აღნიშნული ეტაპისათვის დანერგვის პროცესშია. გარკვეული მექანიზმები, რომელიც 2020 წლის სექტემბრის თვიდან ამოქმედდა ითვალისწინებს პერიოდულად გარკვეული საკითხების გადამოწმებას, ინფორმაციის მობილიზებას, გადამუშავებას და შემდგომ ანალიზს, შესაბამისად ჯერ შეფასების ციკლი არ არის დასრულებული და ამ ეტაპისათვის შედეგობრივად არ აქვთ ჯერ ანალიზის დოკუმენტი. ხოლო რაც შეეხება მარეგულირებელი აქტების კანონმდებლობასთან შესაბამისობას, აღნიშნა, რომ უნივერსიტეტში არსებობს სამართლებრივი რეგულაციები, მაგრამ მათში, საკანონმდებლო აქტებში განხორციელებული ცვლილებების გათვალისწინებით, დასაკორექტირებელი და დასაზუსტებელია კონკრეტული რეგულაციები. დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე განაცხადა, რომ მე-5 სტანდარტის შეფასებას მთლიანად იზიარებენ და ეთანხმებიან ექსპერტთა ჯგუფის მერ გაცემულ რეკომენდაციებს.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა, დავით მახვილაძემ განაცხადა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში მართლაც მჭიდროდ არინ ჩართულების დამსაქმებლები და უკვე მე-4 კურსის სტუდენტებსაც კი ასაქმებენ მათ ორგანიზაციებში. ასევე განაცხადა, რომ თავად დამსაქმებლები ხშირად იჩენენ ინიცირებას და აწვდიან უნივერსიტეტს მათ მოთხოვნებს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების განვითარებასთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა, შალვა კელეპტრიშვილმა განაცხადა, რომ საგანმანათლებლო დაწესებულება იზიარებს ექსპერტთა პოზიციას, მხოლოდ არ ეთანხმება მეორე სტანდარტთა მიმართ გაცემულ რეკომენდაციას, რომელიც ეხებოდა საგანმანათლებლო პროგრამაში სასწავლო კურსის სილაბუსში "სასწავლო პრაქტიკა სამთო და გეოინჟინერიაში" დაშვების წინაპირობაში მოცემულ ექვს სასწავლო კურსს, ექსპერტთა მოსაზრებით კარგი იქნებოდა დაშვების წინაპირობა გაწერილიყო ცალ-ცალკე თითოეული კონცენტრაციისათვის. და ასევე ექსპერტების აღნიშნავენ, რომ საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსში "სასწავლო პრაქტიკა სამთო და გეოინჟინერიაში" დაშვების წინაპირობის კორექტირების საჭიროებას. შალვა კელაპტრიშვილმა განაცხადა, რომ ამ საკითხში ვერ დაეთანხმება ექსპერტთა ჯგუფს, რადგან სასწავლო პრაქტიკა წარმოადგენს საგანმანათლებლო პროგრამის მნიშვნელოვან ნაწილს და წინაპირობებს ცალ-ცალკე კონცენტრაციები მიხედვით გაწერას არ ეთანხმება, ასევე აღნიშნა, რომ წინაპირობაში გაწერილი ექვსი საგანი არის ძირითადი სწავლის სფეროს საგნებია, რომელიც ისწავლება მე-2 და მე-3 კურსზე. ასევე განაცხადა, რომ სასწავლო პრაქტიკა არის უნიფიცირებული მთლიანი სასწავლო პროგრამისათვის და იგი საერთოა ექვსივე კონცენტრაციისათვის. ასევე აღნიშნა, რომ თუ სასწავლო პრაქტიკას ჩაშლიან კონცენტრაციების მიხედვით მაში იგი იქნება ძალიან მცირე და ვერ უზრუნველყოფს შედეგზე გასვლას.

საბჭოს თავმჯდომარემ, ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანმა მომართა საბჭოს წევრებს არსებობის შემთხვევაში დაეფიქსირებინათ მათი მოსაზრება და კითხვები განსახილველი საგანმანათლებლო პროგრამის მიმართ.

საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამა არის ფართო სპექტრის და მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს განემარტათ საკმარისია თუ არა 6 რესპოდენტის გამოკითხვა შრომის ბაზრის ანალიზისათვის. ასევე დასძინა, რომ დიდი მნიშვნელობა ენიჭება ასევე იმას თუ ვინ არიან ის რესპოდენტები, თუმცა წარმოდგენილი დოკუმენტაციის ამის დადგენა შეუძლებელია.

საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ ასევე კითხვა დასვა საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტთან დაკავშირებით. მან აღნიშნა, რომ პროგრამის ეკონომიკური მდგრადობა ეჭვს არ იწვევს, თუმცა დაინტერესდა დოკუმენტში მითითებული თანხა მხოლოდ საბაკალავრო პროგრამის განვითარებას ხმარდება, თუ საჭიროების შემთხვევაში თანხის გადანაწილება შესაძლებელია სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურის პროგრამებზე.

საბჭოს წევრმა, თამარ ჩხეიძემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს და დაინტერესდა მე-3 რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა სასწავლო პრაქტიკისათვის წინაპირობების გაწერას კონცენტრაციების მიხედვით. საბჭოს წევრი დაინტერესდა სასწავლო პრაქტიკის წინაპირობებში გაწერილი ექვსი საგანი ამოღებულია სხვადასხვა კონცენტრაციიდან თუ იგი სავალდებულოს გასავლელი საგნებია ყველა სტუდენტისათვის., და სტუდენტს ამ ექვსი საგნიდან ერ-ერთის გავლის შემთხვევაში შეუძლია თუ არა პრაქტიკის კომპონენტის გავლა.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა, შალვა კელაპტრიშვილმა აღნიშნა, სასწავლო პრაქტიკის წინაპირობებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ეს საგნები არ არის ამოღებული სხვადასხვა კონცენტრაციიდან და სტუდენტს ერთ-ერთი საგნის გავლის შემთხვევაში ეძლევა საშუალება გაიაროს სასწავლო პრაქტიკა.

საბჭოს წევრმა, გაიოზ ფარცხალაძემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს. მან განმარტა, რომ 0724 დეტალურ სფეროში მოცემულია რამდენიმე მიმართულება და რატომ გადაწყვიტა დაწესებულებამ ყველა ამ მიმართულების გაერთიანება ერთ საგანმანათლებლო პროგრამაში და მათი ჩაშლა კონცენტრაციები სახით.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა, შალვა კელაპტრიშვილმა აღნიშნა, რომ კონცენტრაციაში არსებული 30 კრედიტი არ არის კვალიფიკაციაზე გამსვლელი. კონცენტრაცია ეს არის ერთი თემატიკის ირგვლივ არსებული საგნების ნაკრები.

შალვა კელაპტრიშვილმა გაიოზ ფარცხალაძის კითხვასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ 0724 დეტალურ სფეროში შემავალი სწავლის სფეროების პირველ სვეტში მოცემულია მხოლოდ ორი კვალიფიკაცია: 1. სამთო და გეოინჟინერია და 2. ნავთობისა და გაზის მოპოვების ტექნოლოგიები. რადგან საბაკალავრო საფეხურის პროგრამა უნდა იყოს ფართო და ზოგად ცოდნას უნდა აძლევდეს სტუდენტს საგანმანათლებლო დაწესებულებამ გადაწყვიტა არ დაეყოთ სფერო და შექმნეს მთლიანი უნიფიცირებული პროგრამა, რომელიც შემდეგ საფეხურებზე უკვე გაიშალა და გაიყო სხვადასხვა პროგრამებად.

საბჭოს წევრი გიორგი ღაღანიძე დაინტერესდა რამდენად არის შესაძლებელი ეს სფერო მოიცვას სრულად 240 კრედიტის მოცულობის საგანმანათლებლო პროგრამამ.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ 240 კრედიტში შესაძლებელია აღნიშნული პროგრამის სრულად მოცვა და თავად საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა ისე, არის აწყობილი, რომ სტუდენტს არჩევითი საგნების დიდ სპექტრს სთავაზოს უკვე მე-2 და მე-3 კურსზე და სტუდენტს უკვე წინასწარ შეუძლია აირჩიოს იმ კონცენტრაციის მიმართულების საგნები, რომელის არჩევასაც იგი აპირებს საბოლოოდ.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა, დავით მახვილაძემ დამატებით განმარტა, რომ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტში არსებობს ორი ტენდენცია: 1. უნივერსიტეტი დაინტერესებულია, რომ სფეროს სპეციფიკიდან და შესაძლებლობიდან გამომდინარე ჰქონდეს უნიფიცირებული პროგრამები და თუ ეს შესაძლებელია არ მოხდეს საგანმანათლებლო პროგრამის ჩაშლა ვიწრო მიმართულების სახვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამებად. 2. უნივერსიტეტი საბაკალავრო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებში მიზნად ისახავს, რომ კვალიფიკაციის მინიჭებამდე სტუდენტს მისცეს დარგის შესაბამისი ცოდნა და მე-6 დონის შესაბამისი უნარები გამოუმუშაოს. ამ მიდგომით შექმნილი ნებისმიერ პროგრამის კურსდამთავრებული გადის სწავლის შედეგზე, მისანიჭებელ კვალიფიკაციაზე და ფლობს დარგის და საფეხურის შესაბამის ცოდნასა და უნარებს. შესაბამისად საბაკალავრო პროგრამაში არის „ქოლგა“ საგნები, რომელიც ფარავს სფეროს და მნიშვნელოვანია კვალიფიკაციისათვის და მოიცავს შედარებით ვიწრო მიმართულების კონცენტრაციებსაც. ხოლო საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტთან დაკავშირებით განაცხადა, რომ უნივერსიტეტის მიდგომით ფინანსურად ძლიერი და მოთხოვნადი საგანმანათლებლო პროგრამები ფინანსურ მხარდაჭერას უწევენ ზედა დონის საგანმანათლებლო პროგრამებს, გასაკუთრებით კი სადოქტორო საფერის საგანმანათლებლო პროგრამებს. შესაბამისად

აღნიშნული პროგრამის მიმართებისაც საჭიროების შემთხვევაში საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტიდან შესაძლებელი იქნება თანხების გადანაწილება ამ მიმართულების სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურის პროგრამებზე.

შრომის ბაზრის ანალიზის დოკუმენტთან დაკავშირებით, დავით მახვილაძემ განაცხადა, რომ მათ მიერ გამოკითხული 6 რესპოდენტი არის ძირითადი დამსაქმებელი და სწორედ ისინი ქმნიან ძირითად სტანდარტს და შრომის ბაზრის მოთხოვნებს. შესაბამისად მათი ბოლომდე მოიცვეს შრომის ბაზარი, ასევე აღნიშნა, რომ მათთა ურთიერთობა არ შემოიფარგლება მხოლოდ ფორმალური მხარით, ისინი მთლიანად არიან ჩართული საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების პროცესში და ხელს უწყობენ სტუდენტებს სამეცნიერო და პრაქტიკულ საქმიანობაში.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა, ირაკლი გუჯაბიძემ აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამა შექმნილია ევროპული ანალოგების მსგავსად და გათვალისწინებულია საერთაშორისო გამოცდილება.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ კითხვები საგანმანათლებლო დაწესებულების ან ექსპერტთა ჯგუფის მიმართ განსახილველი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

საბჭოს წევრებმა აღნიშნეს, რომ კითხები არ ჰქონდათ.

მეექვსე საკითხის ზეპირი მოსმენა:

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს ნინო დონდოლაძეს, და სთხოვა წარმოედგინა მათ მიერ შემუშავებული რეკომენდაციები და რჩევები.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ დეტალურად წარმოადგინა სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისათვის შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც ეხება მე-5 სტანდარტს:

- უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ, უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმის შესაბამისად, უნდა უზრუნველყოს უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესების მარეგულირებელი შიდა აქტების შემუშავება, რათა მათ ერთგვაროვანი ხასიათი ჰქონდეს დაწესებულების მიერ განხორციელებული ყველა საგანმანათლებლო პროგრამისათვის სწავლების ყველა საფეხურზე;
- მუდმივად უნდა იქნეს უზრუნველყოფილი დაწესებულებაში მოქმედი შიდა აქტების შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სამართლებრივ ნორმებთან, კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების პარალელურად;
- პროცესები მეტად ფორმალიზებული და გაწერილი უნდა იყოს, მათი სავალდებულოდ შესრულების მიზნით.
- დაწესებულებამ პერსონალის აკადემიური დატვირთვის გაანგარიშების კომპონენტში უნდა გაითვალისწინოს სტუდენტთა რაოდენობრივი კვოტა, რომელთა კვლევითი ნაშრომების სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა შეუძლია მასთან დასაქმებულ პერსონალს.
- უნივერსიტეტმა უნდა შეიმუშაოს პროგრამის პერიოდული მონიტორინგისა და შეფასების განხორციელების მარეგულირებელი, სავალდებულო ერთიანი შიდა აქტი, რომელიც დეტალურად აღწერს შეფასების განხორციელების პროცესს;
- აუცილებელია მკაფიოდ განსაზღვრული პროცედურის არსებობა შეფასების შედეგების შემდგომი გამოყენებისა პროგრამის განვითარების მიზნებისათვის;

- უნივერსიტეტმა უნდა შეიმუშაოს მექანიზმი, რომელიც შეფასების პროცესში ჩართავს გამოსაკითხ კატეგორიაში შემავალ ყველა პირს.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს, დავით მახვილაძეს.

დავით მახვილაძემ განაცხადა, რომ რეკომენდაციების უმეტესობა მეორდება და ამიტომ მათზე აღარ გაამახვილებდა ყურადღებას, რადგან საბჭოს წევრებმა უკვე იციან საგანმანათლებლო დაწესებულების პოზიცია მათზე. ასევე განმარტა რომ განსხვავებულია მხოლოდ აკადემიური პერსონალის დატვირთვასთან დაკავშირებით გაცემული რეკომენდაცია. აღნიშნულთან დაკავშირებით განაცხადა, რომ პერსონალის დატვირთვის დაანგარიშების დროს საგანმანათლებლო დაწესებულება აუცილებლად ითვალისწინებს სტუდენტების რაოდენობასა და საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნებს სფეროსა და საფეხურიდან გამომდინარე და ეს რეკომენდაცია უნივერისტეტისათვის მიუღებელია, ხოლო დანარჩენ რეკომენდაციებს საგანმანათლებლო დაწესებულება ეთანხმება და გაითვალისწინებს, როგორც უკვე აღნიშნეს საბაკალავრო საფეხურის პროგრამის ზეპირი განხილვის დროს.

საბჭოს თავმჯდომარემ, ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანმა მომართა საბჭოს წევრებს არსებობის შემთხვევაში დაეფიქსირებინათ მათი მოსაზრება და კითხვები განსახილველი საგანმანათლებლო პროგრამის მიმართ.

საბჭოს წევრმა , გიორგი ღაღანიძემ განაცხადა, რომ სადოქტორო პროგრამასთან მიმართებით საგანმანათლებლო დაწესებულებას ჩასატარებელი აქვს შრომის ბაზრის ანალიზი, და ეს არის სპეციფიკური საკითხი, რადგან აღნიშნულ საფეხურზე ბაზრის მოთხოვნები განსხვავებულია საბაკალავრო საფეხურისაგან. მისი მეორე შეკითხვა ეხებოდა საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტს, თუმცა აღნიშნული საკითხი საგანმანათლებლო დაწესებულებამ განმარტა საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის საკითხის ზეპირი მოსმენისას და მისთვის დაწესებულების პოზიცია მისაღებია, ხოლო მესამე კითხვა ეხებოდა სადისერტაციო ნაშრომებს. გიორგი ღაღანიძემ აღნიშნა, რომ დისერტაციებში გამოყენებული წყაროების რაოდენობა არის მცირე, ერთ ნაშრომში მოცემული იყო თავად სტუდენტის სტატიები, ასევე გამოყენებული ლიტერატურის უმრავლესობა არის მოძველებული.

საბჭოს წევრმა, თეონა მატარაძემ კითხვით მიმართა ექსპერტთა ჯგუფს, განემარტათ რამდენად დიდია ენობრივი ბარიერის და რამდენად უზრუნველყოფის მიღების წინაპირობები, რომ შემდგომ დისერტაციაზე მუშაობის დროს არ შეექმნათ პრობლემები აღნიშნული კუთხით.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა კითხვით მიმართა ექსპერტთა ჯგუფს, თუ ნახეს სწავლის შედეგების შეფასების რუბრიკა და რაიმე უზუსტობა ხომ არ გამოუვლენიათ აღნიშნულ დოკუმენტში.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ნინო დონდოლაძემ, ლიტერატურასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ დასკვნაში რჩევაც აქვთ დაფიქსირებული ლიტერატურის განახლებასთან დაკავშირებით და ეს არ ეხებოდა, მხოლოდ სადოქტორო საფეხურის პროგრამას. სწავლის შედეგების რუკასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ცხადია ჯგუფმა გადახედა აღნიშნულ დოკუმენტაციას, თუმცა რაიმე უზუსტობა ვერ აღმოაჩინეს.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა დააზუსტა კითხვა, და განმარტა, რომ სასწავლო გეგმაში მოცემული იყო სასწავლო კურსი „სწავლების მეთოდები“, შედეგების რუკაში მოცემულია, რომ სასწავლო კურსი უზრუნველყოფს შემდეგ შედეგებზე გასვლას: -

მონაწილეობს მყარი წიაღისეულის მოპოვების და გადამუშავების ტექნოლოგიებთან დაკავშირებული ინოვაციური კვლევების დამოუკიდებლად დაგეგმვაში, განხორციელებასა და ზედამხედველობაში. - სთხოვა განემარტათ თუ როგორ გადის „სწავლის მეთოდების“ სასწავლო კურსი აღნიშნულ შედეგზე.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის განმარტებით სტუდენტი აღნიშნული სასწავლო კურსის გავლით გამოიმუშავებს ისეთ უნარს, რომელიც შემდეგში უზრუნველყოფს აღნიშნულ შედეგზე გასვლას.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა, დავით მახვილაძემ განმარტა, რომ ინტერვიუერების დროს აღნიშნულ საკითხზე ექსპერტებმაც გაამახვილეს ყურადღება, თუმცა სხვა კუთხით, გასაუბრების დროს ყურადღება გამახვილდა იმ ფაქტზე, რომ სასწავლო კურსში აღწერილს შედეგებზე გავდივართ პირდაპირ ცოდნის გაღრმავების ეტაპით და არ არის მოცემული გაცნობითი ეტაპი. საგანმანათლებლო დაწესებულების მიდგომით სადოქტორო საფეხურზე სტუდენტს ცოდნა არ გადაეცემა გაცნობითი ეტაპით და გადაცემული ცოდნა აუცილებლად უნდა გადიოდეს გაღრმავების ეტაპზე.

სწავლის მეთოდებთან დაკავშირებით საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა, დავით მახვილაძეს განმარტა, რომ გარე შეფასების მიდგომებიდან გამომდინარე, თუ სასწავლო კურსი ვერ ზემოქმედებს შედეგზე უკვე სასწავლი კურსის პრობლემა დგება და ამიტომ საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლებს ხშირად უწევთ ოპტიმალური გზის არჩევა და სხვადასხვა გადაწყვეტილების მიღება, აძლიერებს სასწავლო კურსს და სწავლის შედეგებთან აახლოებენ. შესაბამისად სწავლის შედეგებთან ყველა სასწავლო კურსს აქვს შემხებლობა, მაგრამ შედეგების ფორმირებაში ამ ეტაპისათვის მათი გათვალისწინება რა ხედებოდა. საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა ასევე აღნიშნა, რომ ამ ხარვეზის აღმოფხვრისათვის მუშაობენ.

შრომის ბაზრის კვლევასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ საქართველოში ამ მიმართულების დოქტორანტების ძირითადი დამსაქმებელი თავად საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტია და მათ ბაზაზე არსებული კვლევითი ინსტიტუტები.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა, დავით მახვილაძემ, გააკეთა განმარტება საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ამ სადოქტორო პროგრამის ხარჯების 60% თავად დამსაქმებელი ორგანიზაციები ფარავენ, ასევე აქაც მოქმედებს ის მიდგომა, რომ საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურის პროგრამები საჭიროების შემთხვევაში ფარავენ შემდეგი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ხარჯებს.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა, შალვა კელეპტრიშვილმა, დისერტაციებში მოძველებული ლიტერატურის გამოყენებასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა მიღება განხორციელდება მიმდინარე წლის სექტემბრის თვიდან და სასწავლო პროცესიც და მასთან დაკავშირებული სხვა პროცესებით ახალი მიდგომებით განხორციელდება, თავისთავად ეს საკითხი ასევე მოიაზრებს ლიტერატურასაც. ასევე აღნიშნა, რომ ამ მიმართულებით ლიტერატურა ძალიან სპეციფიკურია და კურსდამთავრებულებიც, ვინც დაიცვა უკვე დისერტაცია თავად არიან დასაქმებული ამ მიმართულების კვლევით ინსტიტუტებში.

საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა, გელა მაჩაიძემ, სადისერტაციო ნაშრომებში ლიტერატურის სიმწირესთან დაკავშირებით განმარტა, რომ სადოქტორო ნაშრომი, რომელზეც

ისაუბრა საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ, ეხებოდა ელემენტარული ფეთქებადი ნივთიერებების თემას და აღნიშნა, რომ ეს ძალიან მნიშვნელოვანი იყო საქართველოსთვის, რადგან ქვეყანაში ეს ნივთიერებები შემოდიოდა ძირითადად ბულგარეთიდან, ამ ნივთიერებების დამზადება საქართველოსთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან დღეს ქვეყანაში მოქმედებს 300-მდე სამთო წიაღისეულის საბადო, აქედან 70-მდე მუშაობს ღია სივრცეში, სადაც გამოიყენება სწორად ასეთი ტიპის ფეთქებადი ნივთიერებები. ამ ნივთიერების წარმოება საქართველოში აქამდე ხდებოდა. სწორად ამ თემას ეხებოდა დისერტაცია, სადაც დაახლოებით 36 ლიტერატურულია წყაროა გამოყენებული. თუმცა არის სხვა ნაშრომებიც სადაც უცხოური ლიტერატურაა ჩასასმელი. ამ კუთხით უნივერსიტეტმა მოიძია და გაითვალისწინა აღნიშნული საკითხი განახლებულ პროგრამაში. ასევე განაცხადა, რომ მათ აქცენტი გააკეთეს ისეთ ლიტერატურაზე, სადაც ყურადღება ეთმობა უახლეს კვლევებსა და ტექნოლოგიებს და მომავალში უზრუნველყოფენ გეოტექნიკოსების მომზადებას, რომელიც უხელმძღვანელებს სამთო საქმეს გეოლოგიურ მონაცემებზე დაყრდნობით.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, სოფიო უგრეხელიძემ, ყურადღება გაამახვილა საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობებთან დაკავშირებით დასმულ კითხვაზე და განმარტა, რომ სადოქტორო პროგრამას დაშვების წინაპირობებში მითითებული აქვს უცხოენის B2 დონეზე ცოდნა და ასევე დაადასტურა, რომ სტუდენტებს არ ჰქონდათ პრობლემები ამ კუთხით. ასევე განმარტა, რომ სტუდენტთა თქმით მათ ძირითად სირთულეს, დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, წარმოადგენს, როგორც ლიტერატურულ, ისე პრაქტიკულ მასალაზე წვდომა.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, თათია უბერმა განაცხადა, რომ უცხო ენასთან და ინტერნაციონალიზაციის საკითხებთან დაკავშირებით ექსპერტებმა გასცეს, რჩევები და არა რეკომენდაციები, რადგან საგანმანათლებლო დაწესებულებამ მათ წარუდგინა სამოქმედო გეგმა, სადაც აღწერილი იყო, თუ რას გეგმავს საგანმანათლებლო დაწესებულება აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით არსებული პრობლემების მოგვარებაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ კითხვები საგანმანათლებლო დაწესებულების ან ექსპერტთა ჯგუფის მიმართ განსახილველი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებულ საკითხებზე.
საბჭოს წევრებმა აღნიშნეს, რომ კითხები არ ჰქონდათ.

სათათბირო შესვენება
შესვენების დაწყების დრო 14:05
დამთავრების დრო 14:48

მეხუთე საკითხი: „სამთო და გეოინჟინერია“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა
საბჭო ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახულ შეფასებას

კერძოდ, მიიჩნია, რომ 1.2 კომპონენტი ნაცვლად შესაბამისია მოთხოვნებთან, შეაფასა, როგორც „მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან“, თუმცა აღნიშნულმა ცვლილებამ არ გამოიწვია პირველი სტანდარტის შეფასების ცვლილება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „სამთო და გეოინჟინერიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 6 თვეში ანგარიშის წარმოდგენის პირობით

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 11
წინააღმდეგი: 0

აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაცი(ებ)ი:

1. საგანმანათლებლო პროგრამაში ძირითად არჩევით საგანთა ჯგუფი1-ში სასწავლო კურსში" ქანების დანგრევა აფეთქებით" მოცემულია საკურსო სამუშაო/პროექტი -15 სთ, რაც კურსის სილაბუსში არ არს გაწერილი. გასათვალისწინებელია, რომ მოხდეს სილაბუსის თანხვედრა საგანმანათლებლო პროგრამასთან;
2. რეკომენდირებულია, თითოეული კონცენტრაციის სწავლის შედეგები წარმოდგენილი იქნას ცალ-ცალკე.
3. საგანმანათლებლო პროგრამაში სასწავლო კურსი "სასწავლო პრაქტიკა სამთო და გეოინჟინერიაში" გაწერილია 120 საათი, ხოლო შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსში კი 75 სთ. გასათვალისწინებელია, რომ მოხდეს სილაბუსის თანხვედრა საგანმანათლებლო პროგრამასთან;
4. რეკომენდირებულია ამოქმედდეს შიდა ხარისხის მონიტორინგის მექანიზმები სწავლის შედეგების მიღწევადობის უზრუნველსაყოფად;
5. უნივერსიტეტმა უნდა შეიმუშაოს პროგრამის პერიოდული მონიტორინგისა და შეფასების განხორციელების მარეგულირებელი, სავალდებულო ერთიანი შიდა აქტი, რომელიც დეტალურად აღწერს შეფასების განხორციელების პროცესს;

რჩევები:

1. სასურველია ჩატარდეს შრომის ბაზრის სიღრმისეული კვლევა კურსდამთავრებულთა შრომითი უნარების დაზუსტებისთვის.
2. სასურველია, უნივერსიტეტმა გაითვალისწინოს იმ სტუდენტების ინტერესები, რომლებიც უკვე B.2. დონეზე ფლობენ უცხო ენას და აღნიშნულ სტუდენტებს დაწესებულებამ მისცეს შესაძლებლობა, შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტის(ენის ცოდნის დონის დამადასტურებელი სერტიფიკატი ან უცხოეთში მიღებული განათლების დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტი) წარდგენის შემთხვევაში, გათავისუფლდნენ უცხო ენის სავალდებულო 4 სასწავლო კურსის სწავლებისაგან. ასეთ შემთხვევაში სტუდენტები სავალდებულო წესით გაივლიან მხოლოდ პროფესიული უცხოენის სასწავლო კურსებს. რაც შეეხება უცხოენის კომპონენტის დარჩენილ კრედიტებს, აითვისებენ პროგრამაში გათვალისწინებული არჩევითი სასწავლო კურსების გავლით. ამ შემთხვევაში კი, სასურველია, სტუდენტებს დაწესებულებამ მისცეს შესაძლებლობა, უცხო ენისათვის გამოყოფილი, დარჩენილი კრედიტები, მათი სურვილის შემთხვევაში, დააგროვონ სხვა უცხო ენის შესწავლის ხარჯზე.
3. .სასწავლო კურსის სილაბუსში "საბაკალავრო ნაშრომი სამთო და გეოინჟინერიაში" სწავლება-სწავლის მეთოდების შესაბამისი აქტივობებში სასურველია დაემატოს "წიგნზე/წყაროზე მუშაობა";
4. სასწავლო კურსის სილაბუსში "სასწავლო პრაქტიკა "სწავლა-სწავლების მეთოდებში მოცემული მეთოდი „პროექტის შემუშავება და პრეზენტაცია" მეტად შეესაბამება სასწავლო კურსს "საბაკალავრო ნაშრომი სამთო და გეოინჟინერიაში". ხოლო აღნიშნულ სასწავლო კურსს „სასწავლო პრაქტიკა" უფრო შეესაბამება სწავლა-სწავლების მეთოდი - „პრაქტიკის ანგარიშის მომზადება და პრეზენტაცია". სასურველია სწავლის მეთოდების შესაბამისი აქტივობის კორექტირება.

5. ელექტრონული სერვისების განვითარება, როგორც სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლებისათვის, ასევე დაწესებულებისა თუ ფაკულტეტის ადმინისტრაციის სამუშაო პროცესის მენეჯმენტის უზრუნველყოფის მიზნით;
6. სტუდენტების მეტი ინფორმირება უნივერსიტეტში მოქმედი შიდა რეგულაციების შესახებ.
7. სამართლებრივი ტექნიკის თვალსაზრისით, შესაბამისი პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულის მეშვეობით, განახორციელოს დაწესებულების მიერ შემუშავებული შიდა მარეგულირებელი აქტების კოდიფიცირება, მასში ცვლილებების განხორციელების შემთხვევაში, რათა დაინტერესებულ პირებს ერთიან აქტში ჰქონდეთ მოქმედი მარეგულირებელი ნორმების გაცნობის შესაძლებლობა;
8. უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე უნივერსიტეტში მოქმედი ყველაში და რეგულაციის საბოლოო, მოქმედი რედაქციის განთავსება სტუდენტების, პერსონალისა და სხვა დაინტერესებული პირებისათვის ხელმისაწვდომობის მიზნით.
9. მიზანშეწონილია უნივერსიტეტმა, გარდა მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სავალდებულო გარე შეფასების პროცედურებისა, განახორციელოს პროგრამის გარე შეფასება ისეთი პროცედურების მეშვეობით, როგორიც არის განმავითარებელი შეფასება, მოწვეული ექსპერტების მიერ პროგრამების შეფასება და დასახოს სამოქმედო გეგმა მიღებული რჩევებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებისათვის.
10. აუცილებელია მკაფიოდ განსაზღვრული პროცედურის არსებობა შეფასების შედეგების შემდგომი გამოყენებისა პროგრამის განვითარების მიზნებისათვის;
11. აუცილებელია მკაფიოდ განსაზღვრული პროცედურის არსებობა შეფასების შედეგების შემდგომი გამოყენებისა პროგრამის განვითარების მიზნებისათვის;
12. უნივერსიტეტმა უნდა შეიმუშაოს მექანიზმი, რომელიც შეფასების პროცესში ჩართავს გამოსაკითხ კატეგორიაში შემავალ ყველა პირს;
13. მიზანშეწონილია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს ელექტრონული პლატფორმის არსებობა, სადაც ერთიან სივრცეში იქნება თავმოყრილი პროგრამის მონიტორინგისა და შემდგომი განვითარებისათვის საჭირო მექანიზმების განხორციელების საშუალებები. კერძოდ, როგორც სტუდენტებსა და პერსონალს, ისე დამსაქმებლებსა და კურსდამთავრებულებს საშუალება ექნებათ ელექტრონულად შეავსონ კვლევისათვის საჭირო სპეციალური კითხვარები, რაც თავის მხრივ, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს გაუადვილებს სამუშაო პროცესს, ხოლო შეფასებას გახდის ობიექტურსა და მეტად სანდოს.

გადაწყვეტილება

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მ უხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „სამთო და გეოინჟინერიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 6 თვის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

მეექვსე საკითხი: „სამთო ტექნოლოგიების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა:

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა
საბჭო ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახულ შეფასებას

კერძოდ, მიიჩნია, რომ 1.2, 2.2, 2.3 და 2.4 კომპონენტები ნაცვლად „შესაბამისია მოთხოვნებთან“, შეაფასა, როგორც „მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან“. აღნიშნულმა ცვლილებამ არ გამოიწვია პირველი სტანდარტის შეფასების ცვლილება, ხოლო მე-2 სტანდარტი ნაცვლად „შესაბამისია მოთხოვნებთან“ შეაფასა, როგორ „მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან“.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „სამთო ტექნოლოგიების " სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 1 წლის ვადაში ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 11
წინააღმდეგი: 0

აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაცი(ებ)ი:

1. რეკომენდირებულია ჩატარდეს შრომის ბაზრის სიღრმისეული კვლევა კურსდამთავრებულთა შრომითი უნარების დაზუსტებისთვის;
2. რეკომენდირებულია, დაზუსტდეს სწავლის შედეგების რუკა სასწავლო კურსების შედეგების შესაბამისად.
3. უზრუნველყოფილი იყოს ინგლისური ენის B2 დონეზე მიღწევის შესაძლებლობა;
4. რეკომენდირებულია რიგ სასწავლო კურსებში აღმოიფხვრას სწავლის შედეგების დუბლირება (მაგ: „სწავლების მეთოდები“ და „ კვლევის მეთოდები სამთო ქიმიაში“ და სხვა.) და სასწავლო კურსების სწავლის შედეგები დაზუსტდეს სილაბუსების შინაარსის შესაბამისად;
5. რეკომენდირებულია სადისერტაციო ნაშრომების შესრულების დროს გამოყენებულ იქნას უახლეს მიღწევებზე დაფუძნებული ლიტერატურა;
6. რეკომენდირებულია ამოქმედდეს შიდა ხარისხის მონიტორინგის მექანიზმები სწავლის შედეგების მიღწევადობის უზრუნველსაყოფად.
7. .უნივერსიტეტმა უნდა შეიმუშაოს პროგრამის პერიოდული მონიტორინგისა და შეფასების განხორციელების მარეგულირებელი, სავალდებულო ერთიანი შიდა აქტი, რომელიც დეტალურად აღწერს შეფასების განხორციელების პროცესს;

რჩევები:

1. რჩევები პროგრამის განვითარებისთვის-ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით, სასურველია, დაწესებულებამ, პირველ ეტაპზე გააღრმავოს თანამშრომლობა საზღვარგარეთის პარტნიორ უნივერსიტეტებთან, ასევე ფინანსური საკითხების მოგვარების მიზნით, გაცვლითი პროგრამების ფარგლებში, მოიძიოს და მიაწოდოს სტუდენტს ყველა საჭირო ინფორმაცია, არამხოლოდ ადგილობრივი, არამედ საერთაშორისო დონორების, საერთაშორისო კვლევითი ფონდების შესახებ; გაუწიოს მხარდაჭერა-საერთაშორისო კვლევითი ფონდების მიერ გამოცხადებული სტიპენდიების

მოპოვებაში; უკვე არსებული "ერაზმუს+"-ის პროგრამის ფარგლებში, უზრუნველყოს სტუდენტების სათანადო, კონკურენტუნარიან კადრებად მომზადება, რათა მათ, შეუფერხებლად შეეძლოთ გაცვლით პროგრამებში მონაწილეობა და პროგრამის ინტერნაციონალიზაციისთვის გათვალისწინებული მიზნების მიღწევა, განხორციელდეს წარმატებით;

2. რჩევები პროგრამის (დარჩეს) ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით კვლევითი კომპონენტის გაძლიერების მიზნით, უსდ-მ განსაზღვროს სტრატეგია, რომლის თანახმად დააინტერესებს და წაახალისებს სტუდენტებს, მაქსიმალურად მოახდინონ კვლევით ნაწილში თანამედროვე უცხოენოვანი, ავტორიტეტული წყაროების ინტეგრირება. ამ სტრატეგიის განვითარებით, დოქტორანტებს ექნებათ შესაძლებლობა, კონკურენტუნარიან კადრებად ჩამოყალიბდნენ;
3. ამ მიზნის მისაღწევად, მნიშვნელოვანია, პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტებს, სწავლისპროცესში, ასევე კვლევითი საქმიანობის დროს, საჭიროების შემთხვევაში, პარტნიორი უნივერსიტეტების პროფესორ-მასწავლებლებთან ჰქონდეთ მჭიდრო კომუნიკაციის შესაძლებლობა; დაიგეგმოს საჯარო ლექციები/დისკუსიები პარტნიორი საზღვარგარეთის უნივერსიტეტების აკადემიური პერსონალის მონაწილეობით; შესაძლებელია მათი მოწვევა პროგრამის ფარგლებში, სადისერტაციო ნაშრომების დამუშავების ეტაპზე თანახელმძღვანელებად-განსაკუთრებით, უკვე კარგად ათვისებული ონლაინ სწავლების შესაბამისი პლათფორმების ინტეგრირებით; პარალელურად, სასურველია უნივერსიტეტმა დასახოს სტრატეგია რათა გაზარდოს საზღვარგარეთის პარტნიორ უნივერსიტეტებში სტუდენტების მობილობა-გაცვლითი სემესტრის ფარგლებში კვლევითიკ ომპონენტის გააქტიურება;
4. - სასურველია, უნივერსიტეტის მიერ განისაზღვროს, სადოქტორო ნაშრომის მომზადების ინსტრუქციის შესაბამისად წესი-რომლის მიხედვით განისაზღვრება დოქტორანტთა მაქსიმალური რაოდენობა, რომელთა მიერ განხორციელებული სადისერტაციო კვლევების ერთდროულად ხელმძღვანელობის უფლება ექნება შესაბამის უფლებამოსილ პირს.
5. პროგრამის ბიუჯეტი წარმოდგენილ იქნას დეტალურად, რაც საშუალებას იძლევა განისაზღვროს პროგრამის ფინანსური მდგრადობა;
6. .დაწესებულებამ პერსონალის აკადემიური დატვირთვის გაანგარიშების კომპონენტში უნდა გაითვალისწინოს სტუდენტთა რაოდენობრივი კვოტა, რომელთა კვლევითი ნაშრომების სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა შეუძლია მასთან დასაქმებულ პერსონალს.
7. მიზანშეწონილია, დაწესებულებამ უზრუნველყოს ელექტრონული სერვისების განვითარება, როგორც სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლებისათვის, ასევე დაწესებულებისა თუ ფაკულტეტის ადმინისტრაციის სამუშაო პროცესის მენეჯმენტის უზრუნველყოფის მიზნით;
8. მიზანშეწონილია, სამართლებრივი ტექნიკის თვალსაზრისით, შესაბამის მაპასუხისმგებელმა სტრუქტურულმა ერთეულმა განახორციელოს დაწესებულების მიერ შემუშავებული შიდა მარეგულირებელი აქტების კოდიფიცირება, მასში ცვლილებების განხორციელების შემთხვევაში, რათა დაინტერესებულ პირებს ერთიან აქტში ჰქონდეთ მოქმედი მარეგულირებელი ნორმების გაცნობის შესაძლებლობა;
9. მიზანშეწონილია, უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსებული იყოს უნივერსიტეტში მოქმედი ყველა შიდა რეგულაციის საბოლოო, მოქმედი რედაქცია;
10. მიზანშეწონილია უნივერსიტეტმა, გარდა მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სავალდებულო გარე შეფასების პროცედურებისა, ასევე სტუდენტებისა და დამსაქმებლების გამოკითხვისა, განახორციელოს პროგრამის

გარეშეფასება ისეთი პროცედურების მეშვეობით, როგორიც არის განმავითარებელი შეფასება, მოწვეული ექსპერტების მიერპროგრამების შეფასება და დასახოს სამოქმედო გეგმა მიღებული რჩევებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებითსათვის.

11. აუცილებელია მკაფიოდ განსაზღვრული პროცედურის არსებობა შეფასების შედეგების შემდგომი გამოყენებისა პროგრამის განვითარების მიზნებისათვის;
12. უნივერსიტეტმა უნდა შეიმუშაოს მექანიზმი, რომელიც შეფასების პროცესში ჩართავს გამოსაკითხ კატეგორიაში შემავალ ყველა პირს;

გადაწყვეტილება

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მ უხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „სამთო ტექნოლოგიების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

15:00 საათზე საბჭოს სხდომას შემოუერთდა საბჭოს წევრი დავით კაპანაძე.

მეშვიდე საკითხი: ***საკითხი: სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფარმაცევტული და კოსმეტიკური ტექნოლოგიების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;***

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ფარმაცევტული და კოსმეტიკური ტექნოლოგიები
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2011 წლის 16 ექსპეტბრის #30 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ფარმაცევტული პრეპარატების ქიმია და ტექნოლოგია
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეექვსე
9	კვალიფიკაციის დასახელება	მეცნიერების ბაკალავრი ქიმიურ და ბიოლოგიურ ინჟინერიაში
10		-

	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0711 ქიმიური ინჟინერია და პროცესები
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	ქუთაისი, ახალგაზრდობის გამზ.98, სასწავლო კორპუსი #7 და #8.
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ აკრედიტაციის საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

აკრედიტაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეშვიდე საკითხის ზეპირი მოსმენა:

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს, და სთხოვა ესაუბრა ძირითად მიგნებებსა და რეკომენდაციებზე.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე მიესალმა სხდომაზე დამსწრე წევრებს და განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მერ გაცემული იყო მხოლოდ ორი რეკომენდაცია და პროგრამის განვითარებისათვის 11 რჩევა.

პირველ რეკომენდაციასთან დაკავშერებით, რომელიც ეხება საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ინტერნაციონალიზაციის პოლიტიიკის გაძლიერებას, განმარტა, რომ აღნიშნული საგანმანათკებლო დაწესებულებას აღნიშნული აქვს გასაძლიერებელ მხარეშიც, თუმცა ექსპერტთა ჯგუფმა მაინც დაინახა ამ კუთხით რეკოემნდაციის გაცემის საჭიროება, რადგან მომავალ სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს ეს საკითხი სწავლის გაგრძელებსა და მომავალ განვითარებაში დაეხმარება. ასევე აღნიშნული საკითხი დადებიტად აისახება პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პროფესიულ განვითარებაშიც.

მეორე რეკომენდაციასთან დაკავშირებით, - *პროგრამის მეტი პოპულარიზაცია საზოგადოებაში დარგის წარმოჩენის მიზნით და გეგმაზომიერი აქტივობების შემუშავება დეფიციტური ბიუჯეტის აღმოსაფხვრელად.* - განმარტა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტი იყო მწირი, თუმცა გასაუბრების დროს, საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ახორციელებენ საგანმანათლებლო პროგრამის სუბსიდირებას საუნივერსიტეტო ბიუჯეტიდან. თუმცა ექსპერტთა ჯგუფის აზრით საგანმანათლებლო დაწესებულებამ უნდა გადახორციელოს საგანმანათლებლო პროგრამის პოპულარიზაცია, რომ მომავალში საგანმანათლებლო პროგრამა ფინანსურად იყოს უზრუნველყოფილი. დამატებით აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებლები, რეგიონის მასშტანით ცდილობენ სასკოლო ასაკის მოსწავლეებში გაავრცელონ ინფორმაცია აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლებს და სთხოვა წარმოედგინათ მათი მოსაზრება აღნიშნულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით.

საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა, ინგა ბოჭოიძემ აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ წარმართული ვიზიტისადა კომპლექსური სამუშაოების შედეგად დასკვნაში სრულად იყო აღწერილი, გაანალიზებული და შეფასებული წარმოდგენილი პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა. დაწესებულება იზიარებს და ეთანხმება ექსპერტთა ჯგუფის მიერ დასკვნაში წარმოდგენილ რეკომენდაციებს, რომლებიც სხვადასხვა კონტექსტით პროგრამას თავადაც აქვთ იდენტიფიცირებული გასაუმჯობესებელ მხარეებად. შესაბამისად, პროგრამის შემდგომი განვითარება დაეფუძნება მოცემული რეკომენდაციების შესრულებისა და შიდა ხარისხის მექანიზმებით იდენტიფიცირებული გასაუმჯობესებელი მხარეების განვითარების სამუშაოებს. ასევე განმარტა, რომ აღნიშნული მიმართულებით საგანმანათლებლო დაწესებულებას უკვე აქვს მუშაობა დაწყებული და განხორციელებული სხვადასხვა აქტივოებები. ინგა ბოჭოიძემ საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტთან დაკავშირებით განმარტა, რომ უნივერსიტეტი პროგრამის ხარჯისათვის ყოველწლიურად გამოყოფს გარკვეული რაოდენობის თანხას, რომელის პროგრამას საშუალებას აძლებს რომ უზრუნველყოფილი იყოს საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, ასევე დასძინა რომ ამ თანხაში არ შედის განმახორციელებელი პერსონალის ხელფასი, რეაქტივების თანხა, რომელიც პროგრამის განხორციელებისათვის სჭირდებათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოადგინათ მათო მოსაზრებები საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ.

საბჭოს წევრმა, ელიზბარ ელიზბარაშვილმა კითხვით მიმართა საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელ, რათა დეტალურად განემარტათ რა სახის აკრედიტებული ლაბორატორიებია საჭირო აღნიშნული პროგრამის განხორციელებაში. ასევე სთხოვა განემარტა, რომ როგორ ხდება „ქიმიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასა და „ფარმაცევტული და კოსმეტიკური ტექნოლოგიების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას შორისო სტუდენტების გადანაწილება, რადგან განსახილველი საგანმანათლებლო პროგრამა არის ტიპიური ქიმიური ტექნოლოგიების საგანმანათლებლო პროგრამა დამატებული კოსმეტიკური ტექნოლოგიების საკითხებით.

საბჭოს წევრმა გიორგი ღაღანიძემ კითხვით მიმართა საგანმანათკლებლო დაწესებულების წარმომადგენლებს და განმარტა, რომ 2014 წელს ჩატარებული შრომის ბაზრის კვლევა და ანალიზი 2021 წელს არ იყო რელევანტური და დასკვნები, რომელიც გამოტანილი აქვთ დღეის მდგომარეობით შეიძლება არ ასახავდეს არსებულ მდგომარეობას. ასევე დთხოვა განემარტათ, თუ რესპოდენტები ვინ იყვნენ, რამდენი რესპონდენტი გამოკითხეს.

გიორგი ღაღანიძემ საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტთან დაკავშირებით განმარტა, რომ თუ საგანმანათლებლო პროგრამა ფინანსურად დეფიციტურია უნდა არსებობდეს მისი განვითარების გეგმა, რადგან წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროფრამა არ წარმოადგენდა სოციალური მნიშვნელობის პროგრამას, რომელიც აუცილებლად უნდა არსებობდეს, მიუხედავად მისი ფინანსური მდგრადობისა.

საბჭოს წევრმა, თეონა მატარაძემ მიმართა დაწესებულების წარმოამდგენლებს და სთოვა განემარტათ არჩევითი კომპონენტის საგნებთან დაკავშირებით რამდენიმე საკითხი. კერძოდ, რადგან არჩევით საგნებს შორისო მოცემული იყო აკადემიური წერა, სწავლის მეთოდები და კომპიუტერული პროგრამები, რომლებშიც სტუდენტმა უნდა აიღოს 6 კრედიტი. სთხოვა დაწესებულებას განემარტათ, რამდენად მიზანშეწონილი იყო აკადემიური წერის სანგი ჩასმა არჩევით ბლოკში, რადგან საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებისას სავალდებულო კომპონენტად არის ჩასმული კვლევითი პროექტის გაკეთება და ამ პროექტის შესრულებისათვის სტუდენტს ესაჭიროება ის უნარები, რასაც უვითარებს აკადემიური წერის საგანი. ასევე „სწავლის მეთოდების“ სილაბუსთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ მისი შედეგები ფარავს „კომპიუტერული პროგრამების“ შედეგებს და ნაწილობრივ „აკადემიური წერის“ სასწავლო კურსის შედეგებსაც. და სთოვა განემარტათ თუ რას ემსახურება არჩევითი კომპონენტის ეს საგნები.

საბჭოს წევრმა, გაიანე სიმონიამ ექსპერტთა ჯგუფს სთხოვა დაეზუსტებინათ თუ რა იყო საფუძველი გაცემული შემდეგი რჩევის: პროგრამის სახელწოდებისა და მისანიჭებელი კვალიფიკაციიდან გამომდინარე, სასურველია სასწავლო ფარმაცევტული დისციპლინების დასახელების ცვლილება.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა ითხოვა დაეზუსტებინათ სასწავლო კურსის დასახელება პირველად სამედიცინო დახმარების კურსთან დაკავშირებით, კერძოდ მისი დასახელება უნდა იყოდ „პირველადი სამედიცინო დახმარება, თუ გადაუდებელი დამხმარება. და დაეზუსტებინათ, თუ რამდენად ექნება კურსის გავლის შემდეგ სტუდენს ის უნარები და კომპეტენცია რასაც პირველადი სამედიცინო დახმარება გულისხმობს.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, განმარტა, რომ დოკუმენტაციის გადახედვის დროს ექსპერტთა ჯგუფმა აღმოაჩინა, რომ რიგ შემთხვევებში არ იყო თანხვედრაში სასწავლო კურსის დასახელება და მისი შინაარსი ერთნამეთთან.

საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა ელიზბარ ელიზბარაშვილის კითხვასთან დაკავშირებით განმარტა, რომ საგანმანათლებლო დაწესებულება მომართვის შემთხვევაში ახდენს სხვადასხვა კვლევის ჩატარებას და ნივთიერებების ლაბორატორულ ანალიზებს, თუმცა მომხმარებელს უმეტესად ესაჭიროება აკრედიტებული ლაბორატორიების მიერ გაცემული დასკვნები და სწორედ ამას გულისხმოდნენ. ასევე განმარტა, რომ ამ კუთხით შესაბამისი სამუშაოები მიმდინარეოს დაგანმანათლებლო ადწესებულებაში და იმედი გამოთქვა, რომ უახლოეს მომავალში შეძლებენ ამ მიმართულებითაც აღიარების მოპოვებას, რაც საგანმანათლებლო პროგრამას მისცემს დამატებითი შემოსავლის მიღების საშუალებას. სტუდენტების გადანაწილების საკითხთან დაკავშირებით განმარტა, რომ მიმდინარე ეტაპისათვის მათ „ქიმიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე გაციელბით ნაკლები სტუდენტი ჰყავთ, და ეს საკითხი არ არის დამოკიდებული მარტო საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსახღვრულ რეგულეციებზე, რადგან აქ მნიშვნელობა აქვს პრიორიტეტული დაფინანსების დროს გასაზღვრულ რაოდენობას, ეროვნული გამოცდების

დროს გამოცხადებულ ადგილების რაოდენობა და ა.შ. დაწესებულების წარმომადგენელმა, ასევე განმარტა, რომ განსახილველი პროგრამის მიმართ სუიდენტთა ინტერესი დიდია და ისინი მაქსიმალურად ცდილობენ დააკმაყოფილონ მათი მოთხოვნა.

გიორგი ღაღანიძის მიერ დასმულ საკითხებთან დაკავშირებით საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა, განმარტა, რომ 2011 წელს, პირველი აკრედიტაციის მიღების შემდეგ დაიწყო საგანმანათლებლო დაწესებულებამ ბაზრის კვლევა და წარმოდგენილ ანალიზის დოკუმენტებში ასახულია ინფორმაცია 2014 წლიდან დღემდე არსებული მდგომარეობით და შესაბამისად ანალიზიც გაკეთებულია ამ მონაცემებზე დაყრდნობით. ასევე აღნიშნა, რომ გამოიკითხეს 11 ორგანიზაცია ამ სფეროში და ასევე კურსდამთავრებულები. საგანმანათლებლო პროგრამის პოპულარიზაციასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ უნივერსიტეტის წარმოადგენლებს ჰქონდათ შეხვედრა საქართველის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენლებთან აზიის განვიტარების ფორნდის პროექტის ფარგლებში უნივერსიტეტში იგეგმება ფარმაციის მიაფრთულების ჰაბის გაკეთება, რაც კიდევ უფრო მეტად შეუწყობს ხელს საგანმანათლებლო პროგრამის პოპულარიზაციას.

საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა, თეონა მატარაძის კითვასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ რადგან სამივე სასწავლო კურსი არის აღცევითი სწავლის შდეგების მიღწევადობის უზრუნველსაყოფად არის გაკეთებული მცირედი გადაფარვები, რაც სასწავლო კურსის სილაბუსებში რეალურად არის აღწერილი.
ეკატერინე ბაცვლიშვილის კითხვასთან დაკავშირებით განმარტა, რომ პირველადი დახმარების სასწავლო კურსს კითხულობენ მედიცინის ფაკულტეტის სპეციალისტები და აღნიშნულ საგანმანათლებლო პროგრამაში შეთავაზებულია, როგორც არჩევითი სასწავლო კურსი და სტუდენტებს აქვთ საშუალება აღნიშნული კუსრირ ფარგლებში გაიარონ პრაქტიკა კლინიკაში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ კითხვები საგანმანათლებლო დაწესებულების ან ექსპერტთა ჯგუფის მიმართ განსახილველი საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

საბჭოს წევრებმა აღნიშნეს, რომ კითხები არ ჰქონდათ.

სათათბირო შესვენება
შესვენების დაწყების დრო 15:35 საათი:
დამთავრების დრო 15:50 საათზე

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა

საბჭო ნაწილობრივ იზიარებს ექსპერტთა დასკვნაში ასახულ შეფასებას. კერძოდ, დააფორმულირა და რჩევაში გადაიტანა ზოდიერთი რეკომენდაცია და დაამატა გარკვეული რჩევები. შესამამისად, 2.4. კომპონენტი ნაცვლად „მეტწილად შესაბამისი მოთხოვნებთან“ შეაფასა, როგოც „შესააბამისია მოთხოვნებთან“.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფარმაცევტული და კოსმეტიკური ტექნოლოგიების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 14
წინააღმდეგი: 0
აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციები:

1. რეკომენდირებულია, საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტის დეფიციტი დაფარვის წყაროების განსაზღვრა და გეგმაზომიერი აქტივობების შემუშავება, დეფიციტის აღმოსაფხვრელად.

რჩევა:

1. სასურველია პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაში მოვიდეს თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებთან;
2. სასურველია დარგობრივი უცხო ენის სწავლების გაღრმავება.
3. სასურველია აქცენტი გაკეთდეს პროგრამის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის გაძლიერებაზე;
4. სასურველი იქნებოდა მომავალში სტუდენტების მხარდაჭერას ხვადასხვა საერთაშორისო პროექტებში მონაწილების მისაღებად, რაც ხელს შეუწყობს მათ აკადემური მიღწევების გაუმჯობესებას და კარიერულ განვითარებას.;
5. სასურველია პროგრამის მდგრადობისა და განვითარებისათვის იმავე უნივერსიტეტის მონათესავე ფაკულტეტის აკადემიურ პერსონალთან თანამშრომლობა სწავლების პროცესში, განსაკუთრებით ფარმაცევტული ტექნოლოგიების პირდაპირი პროფილის საგნების აკადემიური პერსონალისა.
6. სასურველია საქართველოს დარგობრივი პროფილის ინსტიტუციების აკადემიური პერსონალის მონაწილეობა სასწავლო პროცესში;
7. სასურველია სწავლების პროცესში ჩართული პერსონალის პროფესიული განვითარების ხელშეწყობა მსგავსი პროფილის უცხოურ სასწავლებლებთან თანამშრომლობით.
8. სასურველია პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის მონაწილეობის გააქტიურება საერთაშორისო პროექტებში, კველევებსა და კონფერენციებში, მათ შორის გრანტების მოძიების კუთხით
9. სასურველია, შემუშავდეს მატერიალურ-ტექნიკური აბზის განათლებისა და შევსების სამოქმედო გეგმა;

გადაწყვეტილება

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მ უხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფარმაცევტული და კოსმეტიკური ტექნოლოგიების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით.

მერვე საკითხი: ***სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ქიმიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;***

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ქიმია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2012 წლის28 ნოემბრის No734 გადაწყვეტილება
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ქიმია
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეექვსე
9	კვალიფიკაციის დასახელება	ქიმიის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	ქიმია 0531
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	ა. პოლიტკოვსკაიას No26, თბილისი, 0186, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ აკრედიტაციის საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

აკრედიტაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მერვე საკითხის ზეპირი მოსმენა:

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს, ელინა ბაქრაძეს.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ელინა ბაქრაძეს საბჭოს წევრებს წარუდგინა ექსპერტტა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

- საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული პრაქტიკა უნდა უზრუნველყოფდეს თანმიმდევრულ გადასვლას პასიური პრაქტიკიდან აქტიურ პრაქტიკამდე აქედან გამომდინარე კვლევითი კომპონენტის გაძლიერება და ხელშეწყობა, პროგრამის საერთაშორისო დონის კვლევებში ჩართულობა, ლაბორატორიული კომპონენტის მოდიფიცირება, ლაბორატორიულ მეცადინეობებზე დათმობილი საათების ხანგრძლივობის გაზრდა და შესაბამისად შესასრულებელი ამოცანების გაღრმავება.
- სილაბუსებში: ნივთიერებათა აღნაგობა, კრისტალოქიმია მითითებული იყოს უახლესი ლიტერატურა;
- ზოგიერთი საგნის, კოლოიდურიქიმია, მაკრომოლეკულების ქიმია, ზოგადი ფიზიკა-1, დამხმარე ლიტერატურას დაემატოს თანამედროვე უცხოური თუ ქართულენოვანი ნაშრომებიც.
- ელექტრონული ბიბლიოთეკა მოიცავდეს სტუდენტებისთვის საჭირო ყველა სასწავლო მასალას, რაც სილაბუსებით არის განსაზღვრული და სტუდენტებს ინფორმაციაზე წვდომა ჰქონდეთ დროულად და სტაბილურად;
- უცხოენების კურსების გაძლიერება.
- ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს ჰქონდეს მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამის განმახორციელებელი პირების აკადემიურ განვითარებას, რაც ხელს შეუწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას. ასევე, ახალი შრომებისა და პუბლიკაციების შესახებ ინფორმაციის ასახვას და მუდმივ განახლებას მათ ბაზებში.
- უნივერსიტეტის ლაბორატორიები უზრუნველყოფილი იყოს თანამედროვე ხელსაწყო-დანადგარებით, ჭურჭლით, გამწოვი სისტემებით და ლაბორატორიის შესაბამისი თანამედროვე და საერთაშორისო სტანდარტების ინფრასტრუქტურით, სტუდენტის რაოდენობასთან კორელაციაში და ამასთან სტუდენტებისთვის უზრუნველყოფილი იყოს აღნიშნულ ხელსაწყოებთან ხელმისაწვდომობა.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ასევე გავახადა, რომ უნივერსიტეტმა გაარემონდა სასწავლო კორპუსი, აქვს შესაბამისი ლაბორატორიული ბაზა და ამ კუთხით კიდევ აგრძელებენ მუშაობას.

საბჭოს თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა დაწესებულების წარმომადგენელს და სთხოვა წარმოადგინათ პოზიცია, იმ რეკომენდაციებთან დაკავშირებით, რომელსაც დაწესებულება არ იზიარებდა.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა, რომელო გალდავამ განმარტა, რომ რეკომენდაციების ძირითად ნაწილს იზიარებენ, თუმცა გარკვეულ მათგანთან აქვთ მოსაზრება.

რომელო გალდავამ უცხო ენის გაძლიერებასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ქიმიის საბაკალავრო პროგრამაში სავალდებულო კომპონენტად უცხო ენებს დათმობილი აქვთ 21 კრედიტი და სურვილის შემთხვევაში სტუდენტებს თავისუფალი კომპონენტის (60 კრედიტი) ფარგლებში აქვთ შესაძლებლობა თვითონ განსაზღვრონ უცხო ენის კომპონენტის შემდგომი გაძლიერების აუცილებლობა. ასევე განმარტება გააკეთა ციფრული ბიბლიოთეკის შესახებ, და განმარტა, რომ ელექტრონული ბიბლიოთეკა ამ ეტაპზე არ მოიცავს ციფრული სახით სასწავლო

მასალას სრულად, თუმცა ბიბლიოთეკაში წარმოდგენილია სხვადასხვა სახით (ბეჭდური, ციფრული), თუმცა ამ მიმართულებითაც გაგრძელებენ ელექტრონული ბიბლიოთეკის შევსებას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ კითხვები საგანმანათლებლო დაწესებულების ან ექსპერტთა ჯგუფის მიმართ განსახილველი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

საბჭოს წევრმა, ელიზბარ ელიზბარაშვილმა მიმართა ექსპერტტა ჯგუფს და სთხოვა განემარტათ, მათ მიერ შეფასებული მატერიალური-ტექნიკური ბაზის საშუალებით რამდენად იყო შესაძლებელი სტანდარტი შეფასდეს სრული შესაბამისობით, ხოლო საგანმანათლებლო დაწესებულებას სთოვა განემარტა, აქვთ თუ არა სტუდენტებს ინდივიდუალურად მუშაობის შესაძლებლობა ლაბორატორიული სამუშაოების დროს, ან რამხელა ჯგუფებში მუშაობენ.

საბჭოს წევრმა გიორგი ღაღანიძემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეზუსტებინათ რამდენიმე საკითხი: 1. წარმოდგენილ სააკრედიტაციო მასალაში დაწესებულებას გამოგზავნილი ჰქონდა კვლევის შედეგები და სთხოვა დაეზუსტებიდათ გამოკითხული რეპოდენტებიდან რამდენი იყო დამსაქმებელი, რადგან მხოლოდ კურსდამთავრებულთა მხრიდან დანახული შრომის ბაზრის მოთხოვნები არ იქნება სრულყოფილი და რელევანტური; 2. კითხვა ეხება საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტს, რომლის მიხედვითაც პროგრამის ხარჯი შემოსავლის დაახლოებით 1/5 წარმოადგენს, მისი კითხვა ეხებოდა თუ სად ნაწილდება დარჩენილი თანხა, და ამ რაოდენობის შემოსავლის მქონე საგანმანათლებლო პროგრამას რატო აქვს პრობლემა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებასთან, მითუმეტეს, რომ არ არის აუცილებელი ყველა ინვენტარის ერთიანად შეძენა.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ელინა ბაქრაძემ, მატერიალურ=ტექნიკური ბაზის შეფასებასთან დაკავშირებით განმარტა, რომ უნივერსიტეტის ბაზაზე არსებული ლაბორატორიებში არსებობს ხელსაწყოები, ექსტრაქტორები, სფექტროფოტომეტრები, თუმცა როგორც უკვე აღინიშნა, საგანმანათლებლო დაწესებულებას აქვს პოტენციალი განვიატრების ამ კუთხით. საგანმანათლებლო დაწესებულების ბაზაზე არსებული ლაბორატორიები საკლაბრისი საბაკალავრო საგანმანათლებლო საფეხურის პროგრამის შედეგებზე გასვლისათვის, გარდა ამისა უნივერსიტეტს გაფორმებული აქვთ მემორანდუმები სხვადასხვა ლაბორატორიებთან, რომელსაც ძირიტადად სამაგისტრო საგეხურის სტუდენტები იყენებდნენ და ექსპერტტა რჩვა გამომდინარეობდა აქედან, რომ საჭირეობის შრმხვევაში საბაკალავრო საფეხურის პროგრამის სტუდენტებსაც ჰქონდეთ შესაძლებლობა აღნიშნული ლაბორატორიებით სარგებლობის.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა, რომელი გალდავამ, ელიზბარ ელიზბარაშვილის კითხვასთან დაკავშირებით განმარტა, რომ ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფმა მოითხოვა შესყიდვის აქტები, რომელიც დაადსტირებდა საჭირო ინვენტარისა და რეაქტივების არსებობას, რაც საფინანსო სამსახურის მიაწოდა და აღნიშნა, რომ ამ კუთხით უნივერსიტეტს პრობლემა არ აქვს.

რომელი გალდავამ საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტთან დაკავშირებით განმარტა, რომ ამხელა ბიუჯეტო მხოლოდ ერთ საგანმანათლებლო პროგრამას არ ექნება, და შესაძლებელია წარმოდგენილ დოკუმენტში რაიმე ტექნიკური ხარვეზი ყოფილიყო დაშვებული.

საბჭოს წერმა, გიორგი ღაღანიძემ დააზუსტა, რომ დოკუმენტაციაში წარმოედგენილია ფაკულტეტის ბიუჯეტი და არა მხოლოდ ერთი საგანმანათლებლო პროგრამის.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ფაკულტეტზე ქიმიის გარდა მოქმედებს კიდევ მათემატიკის, ბილოგიის და სხვა საგანმანათლებლო პროგრამები. ასევე განმარტა, რომ ძირითადი ხარჯები საგანმანათლებლო პროგრამების განვიატრებისათვის გადის უნივერსიტეტის ცენტრალური ბიუჯეტიდან და არა ფსკულტეტის და სწორედ ეს იწვევს ასეთ განსხვავებას ფაკულტეტის შემოსავალსა და გასავალს შორის. ასევე განმარტა, რომ უნივერსიტეტი პერიოდულად ახდენს ახალი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შეძენას და განახლემას და მიმდინარე ეტაპისთვისაც ჰქონდათ გაკეთებული განაცხადი გარკვეული ინვენტარის შეძენაზე.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ელინა ბაქრაძემ განმარტა, რომ შეხვედრების დროს მათ გამოითხოვეს საგანმანათლებლო პროგრამის დეტალური ბიუჯერი, რომელიც მყისიერად იყო მოწოდებული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ, სადაც დეტალურად იყო აღწერილი პროგრამის ხარჯები.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა, შრომის ბაზრის კვლევასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ თვისობრივი კვლევის ფარგლებში მოახდინეს დამსაქმებელთა გამოკითხვა და მოიცვეს საქართველოს მთელი რეგიონი, და მათგან მიღებული უკუკავშირი გათვალისწინებული იყო პროგრამის მოდიფიცირების დროს.

საბჭოს წევრმა, გაიოზ ფარცხალაძემ, ითხოვა დაეზუსტებინათ, თუ როგორ აქვთ აღნიშნული პროგრამის ფარგლებში საგანმანათლებლო დაწესებულებას განვიატრებული საერთაშორისო ურთიერთობები (ინტერნაციონალიზაციის საკითხი).

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით განაცხადა, რომ უნივერსიტეტს აღნიშნული პროგრამის ფაგლებში უცხოურ უნივერსიტეტებთან აქვთ გაფორმებული 58 მემორანხული/ხელშეკრულება, რომლებიც მოიცავენ გაცვლით პროგრამებს. ასევე საგანმანათლებლო დაწესებულება ატარებს სააერთაშორისო დონის კომფერენციებს, რომელშიც მონაწილეობას იღებენ, როგორც ადგილობრივი ისე უცხოური უნივერსიტეტები.

საბჭოს წევრმა, დიანა მჭედლიშვილმა მიმართა საგანმანათლებლო დაწესებულებას კითხვით მათემატიკის საგნებთან დაკავშირებით, რომელიც თემატიკით ძალიან მოცულობითია და სთხოვა დაეზუსტებინათ, უმჯობესი ხომ არ იქნებოდა ამ საგნები კონცენტრირება გაკეთებულიყო იმ თენებზე, რომელიც მომავალში სტუდენტს დასჭირდება ქიმიის მიმართულებით.

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენელმა, რომელო გალდავამ განმარტა, რომ მათემატიკის სილაბუსი შედგა დარგის სპეციალისტების მოთხოვნების გათვალისწინებით, შესაბამისად მათში შესული საკითხები მთლიანად მორგებულის დარგის საჭიროებებს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები საგანმანათლებლო დაწესებულების ან ექსპერტთა ჯგუფის მიმართ განსახილველი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

საბოს წევრებმა განაცახდე, რომ კითხვები არ აქვთ.

სათათბირო შესვენება:

შესვენების დაწყების დრო: 16:30 საათი
დამთავრების დრო 16:55 საათი

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა
საბჭო სრულად იზიარებს ექსპერტთა დასკვნაში ასახულ შეფასებას, თუმცა დაამატეს რჩევები და რეკომენდაციები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ქიმიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 14
წინააღმდეგი: 0
აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციები:

1. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული პრაქტიკა უნდა უზრუნველყოფდეს თანმიმდევრულ გადასვლას პასიური პრაქტიკიდან აქტიურ პრაქტიკამდე აქედან გამომდინარე კვლევითი კომპონენტის გაძლიერება და ხელშეწყობა, პროგრამის საერთაშორისო დონის კვლევებში ჩართულობა, ლაბორატორიული კომპონენტის მოდიფიცირება, ლაბორატორიულ მეცადინეობებზე დათმობილი საათების ხანგრძლივობის გაზრდა და შესაბამისად შესასრულებელი ამოცანების გაღრმავება.;
2. სილაბუსებში: ნივთიერებათა აღნაგობა, კრისტალოქიმია მითითებული იყოს უახლესი ლიტერატურა;
3. ზოგიერთი საგნის, კოლოიდური ქიმია, მაკრომოლეკულების ქიმია,ზოგადი ფიზიკა-1, დამხმარე ლიტერატურას დაემატოს თანამედროვე უცხოური თუ ქართულენოვანი ნაშრომებიც.
4. ელექტრონული ბიბლიოთეკა მოიცავდეს სტუდენტებისთვის საჭირო ყველა სასწავლო მასალას, რაც სილაბუსებით არის განსაზღვრული და სტუდენტებს ინფორმაციაზე წვდომა ჰქონდეთ დროულად და სტაბილურად;
5. უცხო ენების კურსების გაძლიერება.
6. ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს ჰქონდეს მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამის განმახორციელებელი პირების აკადემიურ განვითარებას, რაც ხელს შეუწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას. ასევე, ახალი შრომებისა და პუბლიკაციების შესახებ ინფორმაციის ასახვას და მუდმივ განახლებას მათ ბაზებში;
7. უნივერსიტეტის ლაბორატორიები უზრუნველყოფილი იყოს თანამედროვე ხელსაწყოდანადგარებით, ჭურჭლით, გამწოვი სისტემებით და ლაბორატორიის შესაბამისი თანამედროვე და საერთაშორისო სტანდარტების ინფრასტრუქტურით, სტუდენტის რაოდენობასთან კორელაციაში და ამასთან სტუდენტებისთვის უზრუნველყოფილი იყოს აღნიშნულ ხელსაწყოებთან ხელმისაწვდომობა;
8. რეკომენდირებულია შემუშავდეს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარების დეტალური სამოქმედო გეგმა (გრძელვადიანი და მოკლევადიანი) უნივერსიტეტის ბიუჯეტში გათვალისწინებული ფინანსური რესერსებით.

რჩევები:

1. სასურველია, გაიზარდოს საერთაშორისო თანამშრომლობა და სამომავლოდ გამოყენებული იყოს საუკეთესო პრაქტიკის (უცხოური ანალოგიური პროგრამები) მაგალითები, რომელიც იქნება ეფექტური და შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებისთვის.
2. სასურველია, ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკით განსაზღვრული მიზნების განხორციელების ეფექტური მექანიზმები ამოქმედდეს საერთაშორისო დონის სპეციალისტებისა და კონკურენტუნარიანი კადრების მომზადების თვალსაზრისით.
3. სასურველია პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაში მოვიდეს თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებთან
4. დამსაქმებლების მეტი ჩართულობა საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ფორმირებასა და განხორციელებაში, ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით;
5. აკადემიური კეთილსინდისიერების დაცვის უკეთ კონტროლისთვის სასურველია უნივერსიტეტის მიერ საბაკალავრო ნაშრომები გატარდეს ანტიპლაგიატის პროგრამაზე.
6. სასურველია გადაიხედოს სასწავლო კურსი "უმაღლესი მათემატიკა 1-2" და შესაბამისობაში მოვიდეს პროგრამის განსაზღვრულ მიზნებთან და სწავლის შედეგებთან;
7. სასურველია, ზოგიერთი საგნის (ანალიზური ქიმია-2) სილაბუსში დამხმარე ლიტერატურა გაიზარდოს.;
8. პროგრამას ჰყავს პარტნიორი ორგანიზაციები, რომლებიც რელევანტურია იქნება პროგრამის მიზნებსა და შესაბამის სფეროსთან სასურველია მათი ლაბორატორიული ბაზების უფრო ინტენსიურად გამოყენება.
9. სამეცნიერო-კვლევით პროექტებში მონაწილეობა სასურველია მოიცავდეს აკადემიური კეთილსინდისიერების შემოწმებასაც.
10. მიზანშეწონილია სტუდენტთა წახალისება სამეცნიერო-კვლევით პროექტებში მონაწილეობისა და მათი კვლევითი უნარების განვითარების მიზნით.
11. სასურველია პროგრამამ სწავლების პროცესში გაითვალისწინოს საველე პრაქტიკის გავლა;
12. სასურველია სილაბუსებში ასახული იყოს სწავლების პროცესში გამოყენებული პრეზენტაციები;
13. სასურველია, ლაბორატორიული კომპონენტის ცალკე სასწავლო კურსის ფორმით განაწილება. კონკრეტულად: ზოგადი, არაორგანული და ორგანული ქიმია - ლაბორატორიული მუშაობის ცალკე გამოყოფა და სათანადო დროის დათმობა;
14. ელექტრონული სასწავლო სისტემის მოდერნიზაცია რათა ინფორმაცია იყოს მარტივად ხელმისაწვდომი;
15. სასურველია უფრო მეტი ყურადღება დაეთმოს ინტერნაციონალიზაციას.
16. სასურველია, გაიზარდოს პროგრამის ბაკალავრის სტუდენტების კარიერული მხარდაჭერა.
17. სასურველია, პროგრამას დაემატოს სტაჟირების კომპონენტი საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული დასაქმების სფეროების მიმართულებით, რაც ხელს შეუწყობს შემდგომში სტუდენტების დასაქმებას.
18. სასურველია ახალი კვალიფიციური კადრების მოზიდვისთვის პირობების და მექანიზმების შექმნა.
19. სასურველია, საგანმანათლებლო პროგრამაზე გაიზარდოს საერთაშორისო პროექტების რაოდენობა, საერთაშორისო კონფერენციების ან გაცვლითი პროექტების სახით. ასევე, ბაკალავრის სტუდენტები მეტად ჩაერთონ ახალი კვლევებისა და სტატიების გამოქვეყნების პროცესში;
20. სასურველია აკადემიური პერსონალის შერჩევიისას გათვალისწინებული იქნეს პუბლიკაციების რიცხვი IF-ის მქონე ჟურნალებში ისევე როგორც მათი h-ინდექსი (Thomson Reuters / Web of Science);

21. სასურველია, სამომავლოდ გამოყენებული იყოს საუკეთესო პრაქტიკის (უცხოური ანალოგიური პროგრამები) მაგალითები;
22. ბიუჯეტში მოცემული რეაქტივების, ჭურჭლისა და ხელსაწყო-დანადგარების სამეცნიერო მიზნით სხვა საქონლის შეძენისთვის გამოყოფილ თანხასთან დაკავშირებით სასურველია მიეთითოს, რომ საჭიროების შემთხვევაში უნივერსიტეტი უზრუნველყოფს, გამოყოფილი ბიუჯეტის გარდა სხვა რესურსით დაფინანსებას;
23. გასასწორებელია გარე და შიდა ექსპერტთა შეფასებებში აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა

გადაწყვეტილება

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მ უხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ქიმიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, ერთ წელში ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 17:00 საათზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
თავმჯდომარე
ზედგინიძე-ჯიშკარიანი ნათია

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს მდივანი
შენგელია მარიამ



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
სხდომის მდივანი
ნაცვლიშვილი ეკატერინე